№ 2858
კვირა,
10 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2858
კვირა,
10 ივლისი

[illegible]ელ[illegible]იური გამოცემა
[illegible]96—1905

გაზეთი ღირს: წელიწადში—6მ. „თვეში [illegible]მატებით—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ[illegible]ონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებ[illegible]ება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთ[illegible] საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა [illegible]ტერბურგში.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible]დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციისაგან[illegible]

რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემო[illegible]ნიათ, დროზე შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მო[illegible]ბათ 10 ივნისიდან. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერთ, ფულის [illegible] გზავნის დროს, გამოგზავნონ აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

ოთხშაბათს, 13 ივლისს, დ. ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება მე-5 წლის წირვა და პანაშვიდი

ილია ლუკას ძის ბახტაძის (ილია ხონელის)

სულის მოსახსენებლად; დედა, დები და ძმები განსვენებულისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და განსვენებულის ნიჭის პატივისმცემელთ. (1—1)

ქრისტინა დავითის ასული ბახტაძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი

მღვდლის ლუკა მათეს ძის ბახტაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქმნება დ. ხონის წმ. გიორგის ეკლესიაში 13 ივლისს, ოთხშაბათს. წირვის დასაწყისი დილის 9 საათზე. (1—1)

გაუბედურებულნი: **ანნა სარდიონის ასული ხომერიკისა**, იაკინთე, არტემ, ნიკიფორე ეგნატეს ძენი ხომერიკენი და ფაფონე ეგნატეს ასული რუსიეშვილისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელი შვილისას ხოლო უკანასკნელი ძვირფასის ძმისა

ნიკა (ნიკიტა) ეგნატეს ძის ხომერიკისას

დასაფლავების დღე დანიშნულია კვირას, 10 ივლისს სოფელ სიმონეთის (ოზურგეთის მაზრა) იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაში დილის 10 საათზედ. (1—283—1)

ბარბარე სეითის ასული ზაალიშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ სოფ. იგუეთში გარდაიცვალა მეუღლე მისი

დავით ზურაბის ძე ზაალიშვილი

და სთხოვს მობრძანდნენ დასაფლავების დღეს, კვირას, 10 ივლისს, ს. იგუეთში.

წელიწადი მეორე
სანატორიუმი
4400 ფუტის სიმაღლე.
საზაფხულო სამყოფი
15 ივნისიდან 31 მარიამობისთვემდე.
ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
პატარა-ცემში, ბაკურიანის რკინის გზაზედ.

მიიღებიან ქალ-ვაჟნი 8—16 წლამდე: სისხლნაკლებნი, დასუსტებულნი, მოქანცულნი, ნაავადმყოფარნი, მადა-დაკარგულნი, ჭამის ციებით შეპყრობილნი და საერთოდ ვისაც ესაჭიროება მოღონიერება,

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის ჰაერი, ფიჭვნარი, დასვენება, უხვი საზრდო, გასართობი და სამკურნალო ვარჯიშობა, წყლით ექიმობა შეფარდებული თითოეულ ბავშვის აგებულობასთან.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება წერილობით ბორჯომის სანატორია ექიმ ვ. ღამბაშიძესთან. (0—18).

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ

ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.

შეუვაჭრებლად. (0—52)

საპედაგოგიო საბჭო

ტფილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისა

ამით აცხადებს, რომ, ქალაქის გამგეობის 1905 წლის 12 მაისის დადგენილების თანახმად, მდგომარე წელს მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალაქ ტფილისში დაბადებულთ, თუ დედ-მამა წარმოადგენს საბუთის ქაღალდს ამისას, რომ ისინი ტფილისის საოჯახო სიებში არიან შეტანილნი. ამას გარდა ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, უნდა წარმოადგინოს: დაბადება-მონათვლის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა და იმის მოწმობა, თუ რა სწავლა აქვს მიღებული. (6—4)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 15, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—8)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

კბილის ექიმი
ალ. ხოლოდაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—31)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდია. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-მდის.

ხელახლად მიღებული!!
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 ივლისი

ვაშინგტონი. მოვიდა ჩინეთის ნოტა, რომელშიაც იგი ამბობს, რომ არ დაეთანხმება მანჯურიის შესახებ შეთანხმებას, თუ წინდაწინ მას არ შეეკითხებიან და არ მოისმენენ მისს აზრს. ნოტის მიზანია, მოაგონოს სახელმწიფოებს, რომ ჩინეთი არ ამბობს უარს მანჯურიის სუვერენიტეტზე და ელოდება ამ უფლების აღდგენას, როგორც შედეგს რუსეთ იაპონიის ომისასო.

ტოკიო. სახალინზე ტყვეთ წაიყვანეს 200-ზე მეტი, მათ რიცხვში „ნოვიკ"-ის ლეიტენანტიც, რომელიც კორსაკოვსკის უფროსი იყო.

კანადა იაპონიის კონსულმა ბევრი შიფრიანი დეპეშები გადასცა კომურას. მერი გემიდან გადმოსვლისას მიეგება კომურას; იქვე მიართვეს მას საგანგებო მატარებელი გზის განსაგრძობად.

ნიუ-იორკი. სეულიდან მოსულ ცნობებით, კორეის მთავრობამ გადასწყვიტა ორი წარმომადგენელი გაგზავნოს ზავზე მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. იაპონია პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ.

გოძიადანი. კერძო კანონებით ნიკოლაევსკის ახლოს მიმოდიან იაპონიის გემები.

ხაბაროვსკი ბევრი მცხოვრები მიდის ნიკოლაევსკიდან და ვლადივოსტოკიდან.

ტოკიო, 8 ივლისი („რეიტ."). სახალინის ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 500 რუსი ექვს საველე ზარბაზნითა და სამის ტყვიის მტყორცნელით. რუსებმა ისარგებლეს თავიანთი პოზიციების უპირატესობით და საშინელი თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს. მათი პოზიციები დაბურულ ტყეში იყო დამალული, რაც [illegible] იაპონელებს მიზანში ამოღების [illegible]. მიუხედავად ამისა 28 ივნისს [illegible] 6 საათზე [illegible] ზარბაზნის სროლა [illegible]მდე. იაპონიის ქვეითი ჯარი[illegible] [illegible]ევდებოდა რუსების დ[illegible] ჯარები იერიშით მივიდნენ. [illegible] საათზე დამცველ პოსტების [illegible] რიგი აღებულ იქნა იერიშით; [illegible] რიგი აიღეს მეორე დღეს, დილის 9 ს. იაპონელებმა ხელთ იგდეს 4 ტყვიის მტყორცნელი და ერთი საველე ზარბაზანი. ჰფიქრობენ, [illegible] რუსებს საომარი სურსათი აღარა აქვთ, ამიტომ მათ აღარ შეუძლიათ დიდ ხანს შეირჩინონ სახალინი.

ტოკიო. ოფიციალურ მოხსენებით სახალინზე საერთოდ 46 ტყვე წაუყვანიათ, მათ რიცხვში პოლკოვნიკი და 14 აფიცერი.

ბერლინი, 9 ივლისი. ვიტტე მოვიდა გუშინ საღამოს 11 საათზე. ვოგზალზე ვიტტეს ელოდნენ რუსეთის საელჩოს რამდენიმე წევრი. მატარებელი პარიზს წავიდა რამდენიმე წუთის შემდეგ.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა ლინევიჩისა, 7 ივლისის თარიღით. „ჯარების ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა. 4 ივლისს დილით კორეის ნაპირებთან, მდ. ტუმენულასა და ლინდენის კონცხს შორის, გამოჩნდა იაპონიის ესკადრა. მოხსენება მოვიდა, რომ იაპონიის გემები ზარბაზნებს უშენენ მდ. ტუმენულას შესართავსო. იაპონიის ორი ნაღმოსანი შევიდა ფაშკევიჩის ყურეში და სროლა აუტეხა სოფ. ონკის, სადაც ჩვენი რაზმი იდგა. ნაღმოსნებმა ერთხანს ესროლეს სოფ. ონგისა და პოსტს და შემდეგ ზღვაში გავიდნენ. იმავე დროს კორნილოვის ყურეში შევიდა 4 ნაღმოსანი და გადმოსხეს იაპონელების 20 მატროსი, რომელთაც გააფუჭეს ჩვენი ტელეგრაფის მავთულები ონგის სამხრეთით. იაპონელების 4-მა კრეისერმა სროლა აუტეხა ჩვენს პოსტს ბუხტა ანასთან. დღის პირველ საათზე იაპონიის გემები შეგროვდნენ და ზღვაში გავიდნენ".

სტამბოლი, 8 ივლისი. დღეს სულთანის მოკვლა განიზრახეს. ესროლეს ბომბა. ბევრია მკვდარი.

ლონდონი. პარლამენტი სავსეა დეპუტატთა პალატის აღელვებულ წევრებით. კემბელბანერმანმა წინადადება შეიტანა, გადაიდოს სხდომა, რადგანაც მოუხერხებელია საქმის გაგრძელება, როცა სამინისტრო კრიზისშიაო. ბალფურმა განაცხადა, პალატა არ განიხილავს სადაო საკითხებს, მაგრამ გაარჩევს ბილლს შოტლანდიაში საეკლესიო სადაო საქმეების შესახებ, რაც არ ეხება პარტიულ ინტერესებსო. პალატამ რამდენსამე წუთს გაარჩია ეს ბილლი და შემდეგ დაიშალა. ლიბერალების ფიქრით, კაბინეტი სამსახურიდან გავა.

ლონდონი. როცა წაკითხულ იქნა კენჭის ყრის შედეგი, ბანერმანმა ჰკითხა ბალფურს, რა გზას დაადგება მთავრობა ამ დამარცხების შემდეგაო. ბალფურმა უპასუხა: „როგორც ეტყობა, არავითარი პასუხის მიცემა არ შემიძლიან ამ წამსვეო". რედმონდმა აღელვებულად ჰკითხა, ამ დამცირებასაც ისე ჩაუდგება ბალფური, როგორც უკანასკნელ ორის წლის ყველა დამარცხებასაო? ბალფურმა უპასუხა, რომ იგი არავითარ დამცირებას არ ხედავს და მოაგონა, რომ უმეტესობა დღემდე მუდამ მთავრობის მომხრე იყო. რა თქმა უნდა, თუ მთავრობა შეუძლებლად სცნობს ღირსეულად წაიყვანოს საქმეები, იმ შემთხვევაში იგი შეჩერდება, რაიმე გადაწყვეტილების გამოტანამდეო. „მისურს ამხანაგებს მოველაპარაკოო". ბალფურის ლაპარაკის დროს დამსწრენი დუმდნენ. სიტყვის ბოლოს გაისმის განუწყვეტელი ხმაურობა, ზოგს მოსწონს, ზოგიც პროტესტს აცხადებს. სხდომა დაიხურა, წევრები აღელვებული გადიან და თავიანთ მდგომარეობაზე მსჯელობენ. მთავრობის ბანაკის გაზეთები აღნიშნავენ, რომ უმნიშვნელო უმეტესობით გადიდა საკითხი და ამიტომ მათ შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ბალფური წინადადებას შეიტანს დადგენილების გაუქმებაზე.

ვარშავა. ზოგიერთმა აფთიაქმა პოლონურ ენაზე დაიწყო რეცეპტებზე წერა. ყველა რუსებმა არ იციან პოლონური ენა და ამიტომ საქმეთა გამგეობამ მოითხოვა, რეცეპტებზე დარიგება იმ ენაზე იბეჭდებოდეს, რა ენაზეც ხელ-მოწერილი იქნება იგიო.

კელცი. მნიხოვის მამულში—ანდრეევის მაზრა—ცეცხლმა გაანადგურა 29 დეს. ტყე.

პიატიგორსკი. ქალაქი საღელვა ადგილობრივ სახლის პატრონის ექიმ ღენისოვ-ბეკოვზე თავდასხმამ. ექიმს ბოროტ-გამზრახველებმა რამდენიმე ჭრილობა მისცეს თავში ხლუნგის იარაღით. წაართვეს ძვირფასი საათი. ექიმი კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ იქ გარდაიცვალა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
8 ივლისი.

ტოკიო. ადმირალი დევა იუწყება, სახალინის საექსპედიციო რაზმმა 4 ივლისს სუსიასაკთან დაიჭირა ჯავშნოსან „კნიაზ სუვოროვი"-ის კამანდის ერთი ნაწილი; ეს კამანდა გადავიდა ინგლისის გემ „ოლდხამ"-ზე, რომელიც დაიჭირეს, როგორც პრიზი. ხსენებული გემი, რომელიც რუსის კამანდას ვლადივოსტოკისკენ მიჰყავდა, იტურინის სრუტეში ქვიშაში შეიჭრა და დამწვარ იქნა რუსების მიერ. ერთი აფიცერი ათი მატროსით გაემგზავრა კორსაკოვის პოსტისკენ დახმარებისთვის და ამის შემდეგ არავინ იცის მათი გზა და კვალი. ეკიპაჟის დანარჩენი ნაწილი, მიჩმანი და 13 მატროსი, მივიდა სახალინზე და ახლა იაპონელების ხელში არიან. ამ ტყვეებმა უჩვენეს, რომ 2 აფიცერი და 14 მატროსი ჯერ კიდევ იტურინის კუნძულზეა და ერთის თვის საყოფი საზრდო აქვთო.

ტურინი. გაზეთ „მომენტო"-ს კორესპონდენტმა ჟენევიდან აუწყა, რომ იგი ემუსაიფა პრინც-არისუგავას ამალის ერთ წევრს, რომელმაც განაცხადა, რომ პრინცის ევროპაში მოგზაურობის უმთავრესი მიზანია ინგლის-იაპონიის ხელ-შეკრულობის განახლება. ახალ ხელშეკრულობაში უფრო განმარტებულია დადგენილებანი. იაპონია ვალდებულია დაიცვას ინგლისის ინტერესები ჩინეთის წყლების საზღვრებში. ინგლისი გაიწვევს წყნარ-ოკეანედან თავის ფლოტის ნაწილს ინგლისი ვალდებულია ხელი შეუწყოს იაპონიის პოლიტიკურსა და ეკონომიურს მოქმედებას მანჯურიასა, კორეასა და ჩინეთში. იაპონია, ომის გათავებისას გაგზავნის ჩინეთში თავის აფიცრებს ჩინეთის არმიის საორგანიზაციოდ. ინგლისი უზრუნველ-ჰყოფს იაპონიის პლანს სახელმწიფოების გამოდავებისაგან, მეტადრე გერმანიისა, რომელსაც თვითონ უნდოდა ჩინეთში რეფორმების მოხდენა.

ტოკიო, 3 ივლისი. დღემდე იაპონელებმა სახალინზე დაატყვევეს 461 კაცი, მათ რიცხვში პოლკოვნიკი ალექსეევი და 13 აფიცერი. ჩრდილოეთ კორეაში რუსების ძალა იზრდება. მდ. ტუმენის მიდამოებში დიდს ბრძოლას ელიან ჩქარა. გაზეთების ცნობით იაპონელებმა ტყვედ წაიყვანეს პოლკოვნიკი არციშევსკი, კორსაკოვის პოსტის მეციხოვნე ჯარის უფროსი. იაპონელებმა დაჰკარგეს 70 კაცი, რუსებს მოუკლეს 4 აფიცერი და 12 უნტერ-აფიცერი და ასზე მეტი სალდათი. ვლადიმიროვის ჩრდილოეთით რუსების ჯარებს არ ძალ-უძთ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწიონ.—იაპონელებმა შეაჩერეს ოპერაციები, რადგანაც წვიმების პერიოდი დაიწყო.

პარიზი ლიბავისიდან წავიდნენ „პროზორლივი" და ნაღმოსანი № 222.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ მოიწონა 90 ხმის უმეტესობით ინგლისში დარიბ უცხოელ ემიგრანტთა არ შემოშვების შესახებ კანონის პროექტი. ეს არ შეეხება პოლიტიკურსა და რელიგიოზურ რწმენისთვის დევნილებს.

ვიბორგი, 8 ივლისი. შუაგულ ქალაქში საშიშრად დასჭრეს მუცელსა და ფეხში ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოდპოლკოვნიკი ლემარჩენკო, რომელიც საშიშ მდგომარეობაშია. დამნაშავე შეიპყრეს. ეს მიასოედოვის მოკვლის გამზრახველის ერთი ამხანაგთაგანია.

დონის როსტოვი. შეერთება მოხდა აქაურ რუსებისა და გერმანელების ბაპტისტთა შორის.

არხანგელსკი. ნოვაია ზემლიაში გაემგზავრა 30-მდე მოგზაური და მკვლევარი, მათ რიცხვში შვეციის ექსპედიცია ბოტანიკის დოქტორის ექსტამისა, რომელმაც სამჯერ მოიარა ეს ქვეყანა.

პარიზი, 8 ივლისი. სენატის კომისია დღეს ასრულებს საეკლესიო საკითხის განხილვას. ყველა მუხლები მიიღო პალატამ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალინის ბედი. „პირველად რომ ევროპაში მივიდა ამბავი, იაპონელებმა ჯარები გადასხეს სახალინზედო, ის აზრი გამოთქვეს, რომ ეს უბრალო პოლიტიკური დემონსტრაციაა, მეტი არაფერიო: იაპონელები არ ჩქარობდნენ სახალინის დაპყრობას, თუმცა ეს ადვილად შეეძლოთ და ეხლა კი, როცა ზავზე მოლაპარაკება გაიმართა, უცბად გადასხეს ჯარები კუნძულზე, რომ ზავის ჩამოგდების დროს მეტი მოსთხოვონ რუსეთს კუნძულის უკან დაბრუნებაშიო. მაგრამ ეხლა ეს შეხედულება შეიცვალა: სახალინზე იაპონელებმა რუსული სახელები იაპონურ სახელებზე შესცვალეს და საზოგადოდ ისე იქცევიან, რომ კუნძულის დატოვება ოდესმე აზრად არ უნდა ჰქონდეთ. არც საკვირველია: კუნძულ სახალინის დაპყრობას თავისთავადაც დიდი ფასი აქვს, რადგან მას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და პორტ-არტურზე უკეთ შეუძლია უზრუნველჰყოს ზღვაზე ბატონობა, თუ, რასაკვირველია, საჭიროდ და გონივრად მოიხმარს კაცი ამ კუნძულის მფლობელობას. ეხლანდელ ომშიაც კორსაკოვის სიმაგრეს შეეძლო შეუდარებლად უფრო დიდი როლი აესრულებინა, რომ რუსებს მეტი სტრატეგიული ნიჭი გამოეჩინათ. საქმე ის არის, რომ ვლადივოსტოკი მოწყვეტილია წყნარ ოკეანეს სახალინითა და იაპონიის კუნძულებით. მხოლოდ ამ კუნძულებ შორის მდებარე სრუტეებით უერთდება იაპონიის ზღვა (ვლადივოსტოკი ამ ზღვასთან არის) წყნარ ოკეანეს. ამ სრუტეებ შორის რუსეთისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ლაპერუზის სრუტე იყო არა მარტო იმიტომ, რომ იგი ერთად ერთი ვრცელი გზაა ოკეანესკენ, არამედ იმიტომაც, რომ ჩრდილოეთით იგი საზღვრავს სახალინს, და, მაშასადამე, რუსეთს ომის დროსაც შეეძლო ამ გზის უზრუნველყოფა, რომ დროზედ შესაფერი ღონისძიება ეხმარა. კორსაკოვის სიმაგრე რომ კარგად ყოფილიყო გამაგრებული, როჟესტვენსკის ესკადრას შეეძლებოდა სხვა გზის არჩევა და შესაძლებელია ის უბედურება არ დაჰმართოდა, რაც ცუსიმასთან მოხდა. როჟესტვენსკი თავს მიანებებდა კორეის სრუტეს, სადაც მას ტოგო ელოდა, და ლაპერუზის სრუტეთი წავიდოდა; აქ მას შეეძლო საკმაო ნახშირიც ეშოვა, რომ კორსაკოვში ნახშირის საწყობი ყოფილიყო (როგორც ვიცით, სახალინზე ნახშირის მდიდარი მადნებია). აი ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა სახალინს რუსეთისათვის, რომ დროზედ მიმხვდარიყვნენ ამას და კუნძულიც ამ დანიშნულებისათვის მოეწყოთ. იაპონელების ხელში სახალინს კიდევ უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. დღეიდან როგორც ლაპერუზის, ისე ცუნგარის სრუტეები საკუთრად იაპონიის გზებად ხდებიან. ომის დროს იაპონიას ძალიან ადვილად შეუძლიან დაჰკეტოს ორივე ეს შესავალი წყნარ ოკეანეში და ამ გვარად ვლადივოსტოკი და რუსეთის მთელი აღმოსავლეთის სანაპიროები მოწყვეტილი იქნება წყნარ ოკეანეს. მას შემდეგ, რაც რუსეთისათვის დაიკარგა სახალინი, რომელსაც რუსებმა მხოლოდ ის მოუხერხეს, რომ „დაწყევლილ კუნძულად" აქციეს, დაკარგულია მნიშვნელობა ვლადივოსტოკისა და აღმოსავლეთ სანაპიროებისა. იაპონიას სრულიად აღარ სჭირია დღეს უთუოდ მოითხოვოს ვლადივოსტოკის სიმაგრის დანგრევა. ამიტომ განა მოსალოდნელია, რომ იაპონია რუსეთს დაუბრუნებს სახალინს." („რ. ვ.").

იაპონელებს მხოლოდ რამდენიმე ყუმბარა გაუსროლიათ და რუსის ზარბაზნები მაშინვე ჩაჩუმებულან კორსაკოვის სიმაგრეზე. საწყობებსა და სახლებს ცეცხლი გაუჩნდა. იაპონელები მალე გადმოვიდნენ ნაპირზე და აიღეს პორტები. კორსაკოვის მცხოვრებნი გარბოდნენ. ორი დღის განმავლობაში ცეცხლი ძლივს გაუქრიათ.

ტელეგრაფის კაბელი, რომელიც სახალინს ხმელეთს უერთებდა, გადაუჭრიათ ალექსანდროვსკთან.

ცუსიმას გამარჯვება და იაპონელები. „პორტ-არტურის, ლიაოიანის და მუკდენის შემდეგ გატაცებულ სიხარულს პრესა ეძლეოდა, ხალხი გარეგნად დინჯად იქცეოდა; დღეს კი მთელი ხალხია აღელვებული, ყველგან მხიარული სახეებია, ყველგან დღესასწაულები გაიმართა...

უნდა გვიკვირდეს იაპონიის ხალხის თავდაჭერილი ქცევა შესახებ უცხოელებისა: ერთხელაც არ მიუყენებიათ შეურაცხყოფა ევროპიელებისათვის; ამდენი ხანი ხელი არ უხლიათ ტოკიოს უამაყეს შენობის რუსის ეკლესიისათვის და ყოველ კვირას რუსის ეპისკოპოსი თავისუფლად ასრულებს მღვდელმსახურებას. ჭეშმარიტად, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ იაპონელებისაგან, ევროპის ხალხი არა ერთხელ სულ სხვანაირად მოქცეულან ამისთანა შემთხვევაში.

იაპონიაში მცხოვრები ევროპიელები სირცხვილით იწვიან, ბალტიის ესკადრის სამარცხვინო საქმენი რომ მოაგონდებათ. ვისაც არ ჰკითხავ, თუ რა აზრის არის ცუსიმას გამარჯვებაზე, ყველა იმას ამბობს—სასირცხო საქმე არისო. „იაპონიის ფოსტა" პირდაპირ ამბობს: „ყველა გემები დაილუპა,

ერთისა და ორის მეტი, ადმირალები ან დახოცილია ან დატყვევებული; იაპონელებმა კი სულ სამი ნაღმიანი დაჰკარგეს. გაუგონარი თავის მოჭრაა და სირცხვილია; ყველაზედ უფრო ჰკიცხავენ ადმირალ ნებოგატოვს, რათ დანებდა მტერსო; მაგრამ ნებოგატოვს იაპონელები ესარჩლებიან — რა უნდა ექნა, უნდა აეფეთქებინა გემები და დაღუპულიყო მთელ ესკადრასთან ერთად? მაგრამ ეს ხომ აყოლა იქნებოდა ბუშიდოს შეხედულებისა—ტყვეობას სიკვდილი სჯობიაო და თქვენ, ევროპიელები ხომ აღშფოთებული იყავით ყოველთვის ჩვენის ასეთის შეხედულობით“. („რ. ს.“).

ერობა ჩვენში

III

დებულების მესამე თავი აღგვიწერს „საერობო დაწესებულებათა შედგენილობას“.

სამაზრო ერობა შესდგება სამაზრო საერობო კრებისა და სამაზრო საერობო გამგეობისაგან (მე-13 მუხ.). სამაზრო კრებას შეადგენენ საერობო ხმოსნები, რომელთაც ირჩევენ: ა) მაზრის მემამულენი, ბ) ქალაქის საზოგადოებანი და გ) სოფლის საზოგადოებანი (მე-14 მუხ.). ამ სამრიგ ხმოსნებს ირჩევენ სამს საარჩევნო კრებაზე: ა) მემამულეთა კრებაზე, ბ) ქალაქის ამომრჩეველთა კრებაზე და გ) სოფლის საზოგადოებათა დეპუტატების კრებაზე (ორმაგი არჩევნები) (მე-16 მუხ.). საარჩევნო უფლებისათვის დაწესებულია ცენზი: ა) მემამულეთათვის—განსაზღვრულის სივრცის ადგილ-მამული ან უძრავი ქონება მაზრაში არა ნაკლებ 15 ათასის მანეთის ღირებულობისა (მე-23 მუხ.); ბ) ქალაქის მცხოვრებთათვის—ვაჭრობის მოწმობა, სამრეწველო ან სავაჭრო დაწესებულება, რომელიც წელიწადში არა ნაკლებ 6000 მანეთისა ატრიალებს ან უძრავი ქონება არა ნაკლებ 3000 მან. ღირებულობისა დიდ ქალაქებში (რომლებშიაც 10 ათას მცხოვრებლზე მეტია), არა ნაკლებ 1000 მან. ღირებულებისა შუათანა ქალაქებში (რომლებშიაც 2 ათასიდან 10 ათასამდე მცხოვრებია) და არა ნაკლებ 500 მანათისა პატარა ქალაქსა და დაბებში (რომლებშიაც 2 ათას მცხოვრებელზე ნაკლებია) (მე-28 მუხ.). სოფლის საზოგადოებათა კრებაში მონაწილეობას იღებენ გლეხები, რომელთაც ვოლოსტის კრებებზე აირჩევენ (მე-30 და მე-31 მუხლები).

საგუბერნიო ერობა შესდგება საგუბერნიო საერობო ხმოსნებისაგან, რომელთაც ირჩევენ სამაზრო ერობანი (მე-51 მუხ.). რაც შეეხება სამაზრო და საგუბერნიო საერობო გამგეობათ, მათ წევრებისა და თავმჯდომარეების არჩევნები არავითარს თავისებურობას არ წარმოადგენს: მათ ირჩევენ კრებები და საგუბერნიო თავმჯდომარეებს ამტკიცებს შინაგან საქმეთა სამინისტრო (მე-46 და 56 მუხლები).

აი, უმთავრესი მუხლები დებულების მე-2 თავისა. ამ მუხლებით განისაზღვრება მთავარი მხარე ადგილობრივ თვითმმართველობისა: ვინ ირჩევს ხმოსნებს, ესე იგი, იმ პირთ, რომელთაც უნდა განაგონ ადგილობრივი საქმეები. პრინციპი, რომელზედაც დამყარებულია აქ არჩევნები, აქტიური და პასსიური საარჩევნო უფლება, არის ცენზი. პირველ და მეორე რიგის ამომრჩეველნი არიან სოფლისა და ქალაქის მსხვილი მესაკუთრენი; ხოლო მესამე რიგის არჩევნები დაფუძნებულია წოდებრივობის პრინციპზე. მაგრამ, ფაქტიურად აქაც წოდებრივობას აქვს ადგილი: მე-60 წლების დასაწყისში მემამულე, თუ არა თავადი ან აზნაური, სულ ცოტა იყო; ქალაქშიაც მრეწველი თითქმის იგივე ვაჭარი იყო. 1890 წლის საერობო დებულებამ „შეასწორა“ წინანდელ დებულების ორჭოფობა და წმინდა წოდებრივი ხასიათი მისცა არჩევნებს: გააძლიერა თავად-აზნაურობა და მაღალ ცენზიანთა წარმომადგენლობა.

რაღა თქმა უნდა, ამრიგად შემდგარს ადგილობრივ თვითმმართველობას მეტად ცალმხრივი ხასიათი აქვს. პროვინციის სვებედი თავად-აზნაურთა და მოხელეთა ხელშია; ყველაფერი ისე კეთდება, როგორც მაღალ ცენზიანებს უნდათ, ხოლო უმრავლესობა იჩაგრება, მათი ინტერესები და საჭიროებანი უყურადღებოდ რჩება; სოფელში—გლეხები და ქალაქში—მუშები ამგვარ თვითმმართველობის გარედ რჩებიან და ერობა თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიის წმინდა კლასობრივ ინტერესებს ემსახურება.

ასეთ ცალმხრივის ერობის შემოღება ჩვენში, ჩვენის პირობების მიხედვით, აღარ შეიძლება. ჩვენი გლეხობაც და მუშა-ხალხიც აპეკას აღარ საჭიროებენ და თვითონაც კარგად წარუძღვებიან საქმეს. მეორეს მხრით, მომწიფდა ათასგვარი ეკონომიური და სულიერი საჭიროება, რომელიც უთუოდ უნდა იქმნან დაკმაყოფილებული და რომლის დაკმაყოფილება თვით ხალხის წარმომადგენლებს უნდა მიენდოს. ჩვენს დროში აღარ შეიძლება არც წოდებრივობის დაცვა, არც ცალმხრივ ეგოისტურ ინტერესების მიხედვით რომლისამე ცენზის დაწესება; სახელმწიფო მეცნიერებაც და პრაქტიკაც გვეუბნებიან, რომ რაც უფრო ფართო და ყოველმხრივია წარმომადგენლობა ადგილობრივსა და ცენტრალურს მმართველობაში თუ თვითმმართველობაში, მით უფრო სამართლიანი და ენერგიული მუშაობა სწარმოებს, მით უფრო კარგად არის დაცული უმრავლესობის ინტერესები.

ამიტომაც, რუსეთის მოწინავე საზოგადოება და პრესსაც ერთხმად თხოულობენ ადგილობრივ თვითმართველობის (ქალაქისა და სოფლის) გადემოკრატებას. საერო და სახალხო ინტერესების დაცვა მთელის ერისა და ხალხის მიერ არჩეულს წარმომადგენლებს შეუძლიათო. ამიტომ უნდა მოისპოს წოდებრივობის პრინციპიც და ცენზიც; არჩევნები ადგილობრივ თვითმართველობაშიაც უნდა მოხდეს საყოველთაო, პირდაპირის, ფარულის და თანასწორის კენჭის ყრით,—წოდებისა, ეროვნებისა და სქესის განურჩევლად. მხოლოდ ამ წესით მოხდენილს არჩევნებს შეუძლია ნამდვილი თვითმმართველობა შეადგინოს, მხოლოდ ასეთ დემოკრატიულს საარჩევნო უფლებას შეუძლია თვითმმართველობა გამოგლიჯოს ხელიდან ფეოდალსა და კაპიტალისტს...

ჩვენ აქ არ შევუდგებით დაწვრილებით იმ წესების შემუშავებას, რომლებით უნდა მოხდეს არჩევნები სოფლისა, მაზრისა, გუბერნიისა და მთელის საქართველოს ერობებში; ეს მომავალ კრებების საქმეა, ჩვენთვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1864 წლის დებულებით შემდგარი თვითმმართველობა მეტად ცალმხრივია (მოხელეთა და თავად-აზნაურთა უფლება), საჭიროა მისი გადემოკრატება და ამისთვის ყოველგვარ ცენზის მოსპობა; 1890 წლის დებულება ხომ უარესია და იმაზე ლაპარაკიც აღარ ღირს.

რაც შეეხება გამგეობათა შედგენილობას, მათ შესახებ კანონი შეიძლება უცვლელად დარჩეს, მხოლოდ საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარის არჩევნებიც საბოლოო უნდა იყოს, როგორც გამგეობის სხვა წევრებისა.

გ.

უცნაური ამბავი

ამ დღეებში ერთი უცნაური და [illegible]უჯერებელი ცვლილება მოხდა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების ორგანიზაციაში ან, როგორც ოფიციალურად უწოდებენ ამ დაწესებულებას, „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეების შემწე საზოგადოებაში“. 1881 წელს კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულ წესდების ძალით, ამ საზოგადოების ნამდვილი წევრები იყვნენ: 1) ვინც საზოგადოების სასარგებლოდ ყოველ წელს სამ-სამ მანათს იხდიდა და 2) ყველა დამფუძნებელი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა. როდესაც 1901 წელს ბანკის წესდება შეიცვალა და ბანკის მოგებათა განაწილება ჩაჰბარდა თავად-აზნაურობას, „ბანკის დამფუძნებელს“ რეალური მნიშვნელობა დაეკარგა. ამ გარემოებამ დაჰბადა აზრი, სათანადო ცვლილება ყოფილიყო შეტანილი აგრეთვე სკოლის საზოგადოების წესდებაში, ე. ი. შეეცვალათ ის იმ გვარად, რომ ნამდვილი წევრი საზოგადოებისა ყოფილიყო ტფილისის გუბერნიის ყველა თავადი და აზნაური და არა ბანკის დამფუძნებელი. ამ აზრის განსახორციელებლად 1904 წელს ექვს ივნისს გამგე კომიტეტმა საზოგადოებას მოხსენება წარუდგინა და შემდეგ მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა წესდების შეცვლის შესახებ. მთავრობამ ეს შუამდგომლობა შეიწყნარა და ეხლახან დააკმაყოფილა იგი.

საზოგადო კრებამ გასულის წლის ექვს ივნისს, მოისმინა რა სიტყვიერი მოხსენება გამგე კომიტეტისა წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ, სხვათა შორის, აღძრა საკითხი: ახალი რედაქცია წესდების მეოთხე მუხლისა მარტოოდენ ცენზიან თავად-აზნაურთ ხომ არა სცნობს საზოგადოების წევრებადო. გამგე კომიტეტმა განმარტა, პირიქით, თუ ჩვენი განზრახვა აღსრულდა, ყველა თავადი და აზნაური საზოგადოების წევრად ჩაითვლება, წინანდელი შეზღუდვა გაუქმდება და წევრობის უფლება გაფართოვდება, რადგან ამისთვის საჭირო აღარ იქნება ბანკის დამფუძნებლობაო.

როგორც მკითხველი ჰხედავს, საზოგადოებას აზრადაც არ ჰქონია შეეზღუდა უცენზო თავად-აზნაურთა უფლება და შეემცირებინა რიცხვი საზოგადოების ნამდვილ წევრებისა, საქმით კი სულ სხვა გამოვიდა.

მეოთხე პარაგრაფის ახალ რედაქციით „წოდება ნამდვილის წევრისა ეკუთვნის ყველა შთამომავლობით თავად-აზნაურს ტფილისის გუბერნიისას, ვისაც-კი ხმის უფლება აქვს, როგორც ყოველს დებულებაში (?), ისე არჩევნებშიაც, ვიდრე თავად-აზნაურობა სწირავს ფულს საზოგადოების სასარგებლოდ“. ამ წინადადების აზრი ის არის, რომ საზოგადოების წევრი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: 1) იგი აუცილებლად ტფილისის გუბერნიის შთამომავლობითი აზნაური უნდა იყოს; მაშასადამე, გაუქმებულია ეს წესი, რომლის ძალითაც ყველას, წოდების განურჩევლად, შეეძლო წევრად გამხდარიყო წლიურად საზოგადოების სასარგებლოდ სამ-სამ მანათის გადახდით. წინად სკოლის საზოგადოება წოდებრივობის ციხეში არ იყო შემწყვდეული, ეხლა კი იგი სრულიად კარჩაკეტილი აზნაურო საზოგადოებაა. ვინც ტფილისის [illegible] აზნაურიშვილი არ არის, იმას [illegible] საშუალებით არ შეუძლიან, ამ [illegible]ის ნამდვილი წევრი შეიქნეს; 2) [illegible] საზოგადოების წევრს ხმა უნდა [illegible] თავად-აზნაურო კრებებზე; კა-[illegible] ეს ხმა ორნაირია: კრების ყოველს დადგენილებაში მონაწილეობის მისაღებად, გარდა არჩევნების, და საარჩევნო ხმა; სკოლის საზოგადოების წევრობისთვის საჭიროა ხმის უფლება, როგორც ყოველ დებულებაში, *) ისე არჩევნებში. რადგან საარჩევნო ხმისთვის კანონით საჭიროა ქონებრივი ცენზი (არა ნაკლებ 250 დესეტინისა), ამიტომ სკოლის საზოგადოების წევრად ეხლა მარტოოდენ ტფილისის გუბერნიის ცენზიანი თავად-აზნაურნი უნდა ჩაითვალნენ.

ამ გვარად სკოლის საზოგადოების კარები ჩაიკეტა ყველასათვის გარდა ტფილისის გუბერნიის შეძლებულ აზნაურებისა. როგორ მოხდა ეს? რისთვის გამოირიცხეს თავისი თავი ღარიბებმა და არა აზნაურებმა „საზოგადოებიდან“? ვისი წყალობით გაიმარჯვა წოდებრივის და ქონებრივის ცენზის პრინციპმა სასწავლებლის საქმეში? ვინ სცდილობდა დაემარცხებინა და დაეთრგუნა ამ საქმეში დემოკრატიული პრინციპი? ვის უნდა დაედოს ბრალი, ვის უნდა მოეკითხოს პასუხი? როგორ უნდა გასწორდეს საქმე?

გამგე კომიტეტი დღევანდლამდე საქმის სრულ და თვითმპყრობელ ბატონად თავის თავს სთვლიდა და ეს აზრი ისე ღრმად ჰქონდა იმას ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ მოხსენებაც კი წესდების შეცვლის შესახებ სიტყვიერად მოახსენა კრებას, მაშასადამე არ მისცა საშუალება დინჯად და გონივრულად აეწონ-დაეწონა საქმის მდგომარეობა და ისე დაევალებინა სათანადო შუამდგომლობის აღძვრა მთავრობასთან. გამგე კომიტეტი არწმუნებდა კრებას, წევრობის უფლება გაფართოვდებაო, ნამდვილად კი ეს უფლება შეიზღუდა და ისე ძლიერ, რომ სწორედ სამარცხვინო საქმედ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ არ ვიცით, განზრახ მოქმედებდა ასე გამგე კომიტეტი თუ უნებურად მოუვიდა იმას ასეთი შეცდომა, მაგრამ ეს ჩვენის ფიქრით სულ ერთია; პირველს შემთხვევაში ბოროტ-მოქმედებასთან გვექნება საქმე, მეორეში შეუწყნარებელ დაუდევრობასა და უვიცობასთან, მაგრამ ერთიც და მეორეც ისეთი დანაშაულობაა საზოგადოების წინაშე, რომელსაც ყური არ მოეყრუება. საზოგადოებამ აუცილებლად უნდა დაჰგმოს ეხლანდელის კომიტეტის მოქმედება, და ჩამოართვას იმას საზოგადოებრივი უფლებები და აირჩიოს ახალი კომიტეტი, რომელსაც დაევალება ძველის კომიტეტისაგან წახდენილის საქმის გასწორება. გ. რ.

---

*) ეს შეუფერებელი თარგმანია რუსულის სიტყვებისა: „во всѣхъ положеніяхъ собраній“.

ახალი ამბავი

◆ ტფილისის მაზრის უფროსმა ადგილობრივ პოლიციის მოხელეთ დაავალა დღეს 10 ივლისისათვის, სოფელ საგარეჯოში საზოგადო ყრილობაზე გამოიწვიოს პატარძეულისა, ხაშმისა და ახლო მახლო სოფლის მცხოვრებნი. ამ ყრილობას დაესწრება ნამესტნიკის განკარგულებით **გლეხთა დასამშვიდებლად გაგზავნილი** გენერალი თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე და გადასცემს კავკასიის უმაღლეს მთავრობის ბრძანებას.

◆ 8 ივლისს ტფილისის მაზრის სოფელ ბორბალოში მივიდა **გლეხებთან მოსალაპარაკებლად** თავ. ი. ს. ჭავჭავაძის მეთაურობით შემდგარი კომისია. სოფელში ადგილობრივმა პოლიციამ ყრილობა მოახდინა ოდინის, ყუმისის და ვაშლოვანის მცხოვრებთა. კომისიამ აცნობა გლეხობას მთავრობის განკარგულება იმის შესახებ, რომ გლეხობას ზარალს გადაახდევინებენ და სხვა. მოლაპარაკების დროს გლეხებმა მემამულეებს თითო დესიატინა მიწაში იჯარად 6 მან. შეაძლიეს, მაგრამ მემამულენი არ დასთანხმდნენ. ამ სოფლიდან კომისია სოფელ ტაბახმელაში წავიდა. იქაც მოხდა ყრილობა და იმავე საგნებზე იყო ლაპარაკი. ამავე დღეს საღამოთი კომისია ტფილისს დაბრუნდა.

◆ როგორც სოფ. ხოვლედან გვატყობინებენ, იქ ამ დღეებში **გლეხებს სულ გამოურეკიათ მემამულეთა** მოსამსახურენი.

◆ როგორც ტფილისის მაზრის სოფელ დიღომიდან გვატყობინებენ, **გლეხებს გადაუწყვეტიათ** წელს მემამულეებს თითო დესეტინა მიწაში საიჯაროდ ოთხ-ოთხი მანეთი მისცენ. მემამულეებიც დათანხმებულან.

◆ შორაპნის **მარგანეცის დამტვირთველ მუშების** საქმე მაინც ვერ მოწესრიგდა. ბაქოდან ჩამოყვანილმა რუსმა მუშებმა უარი განაცხადეს და უკან დაბრუნდნენ. მიზეზად, როგორც ვწერდით, ის განაცხადეს, რომ ძრიელ მძიმე საქმეაო. რკინის გზამ ისევ ძველ მუშებს დაუწყო მოლაპარაკება.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ამას წინად პეტერბურგიდან დეპეშა მოუვიდა. ატყობინებდნენ **მოსამსახურეთა დასასაჩუქრებლად** დაერიგებინა 133,000 მანეთი. რადგან დეპეშაში არ იყო ნათქვამი მარტო შტატის მოსამსახურეთ უნდა მისცემოდათ საჩუქარი, თუ დღიურებსაც, ამისათვის რკინის გზის უფროსი შეეკითხა პეტერბურგს. როგორც ამბობენ, პეტერბურგიდან რკინის გზის გამგეს ცნობა მოსვლია, რომ ეს საქმე კავკასიის ნამესტნიკმა უნდა გადასწყვიტოსო. ეს ფული მარტო იმ მოსამსახურეთ უნდა მიეღოთ, ვისაც არა უმეტეს 600 მან. აქვს წელიწადში. ეხლა როგორც გვიგეთ, იმ მოსამსახურეთაც მოუსურვებიათ ფულის წილება, ვისაც წელიწადში 2000 მანეთამდე აქვთ.

◆ 9 ივლისს **ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ დაითხოვა** ტფილისის სადგურის მოიჯარადრეთა ჭთავბერიძის და ასამბაძის მუშები.

◆ „კავ.“-ში დაბეჭდილია **ტფ. გენერალ-გუბერნატორის ბრძანება.** ამ ბრძანების ძალით, იმათი დაჯარიმება და დასჯა, ვინც ამას წინად გამოცემულ სავალდებულო დადგენილებებს დაარღვევს, ევალება ტფილისის გუბერნატორს.

ფელეტონი

აგრარულ საკითხის შესახებ *)

ერთ რთულსა და ამასთანავე ძნელ საკითხს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში უთუოდ წარმოადგენს სოციალური საკითხი. რომელი ფაქტი უნდა აიღოთ საზოგადოებრივ მოვლენათაგან, რომ იგი ასე თუ ისე დაკავშირებული არ იყოს სოციალურ საკითხთან.

თვით ამ სოციალურ საკითხში ერთ საჭირბოროტო საგანს წარმოადგენს გლეხთა საკითხი, ანუ ეგრედ წოდებული აგრარული კითხვა. ამ ბოლო დროს ბევრი გამოკვლევა დაიწერა ამ საკითხის შესახებ, ხოლო მისი სრული გამორკვევა დღესაც სადაობელ საგანს შეადგენს. მას არჩევდნენ უფრო „წმინდა-ეკონომიურის“, ვიდრე სოციოლოგიურის მხრივ. ჩვენთვის უფრო საინტერესოა „სოციოლოგიური“ მხარე ამ საკითხისა და ამ წერილში სწორედ მარტო იმას მივაქცევთ ყურადღებას. მით უფრო საჭიროა ეს, რომ ეხლა ჩვენში აგრარული მოძრაობა მეტად მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენას წარმოადგენს და მისი „სოციოლოგიური“ განხილვა აუცილებელია ყველასათვის, ვისაც სურს ჩაერიოს ამ მოძრაობაში და იმის ხშირად „სტიქიურ“ მსვლელობას განსაზღვრული „შეგნებულობა“ მისცეს.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპის მრეწველობაში დიდი ცვლილება მოხდა: მან მიიღო წმინდა კაპიტალისტური ფორმა. თანდათანი გაპროლეტარება მშრომელ ხალხისა და ეკონომიურ დამონავების გამწვავება—შედეგი იყო ამ ცვლილებისა. თავისთავად საგულისხმოა, რომ მუშათა კლასი ამ მოვლენას გულგრილად ვერ დაუწყებდა ცქერას. აქედან წარმოსდგა მისი აღელვება-ამბოხებანი, მისი როლი პოლიტიკურ რევოლუციათა ეპოქაში. მან მიიქცია ყურადღება ყოველ ადამიანისა, რომელიც ასე თუ ისე დაინტერესებული იყო სოციალურ საკითხის გადაწყვეტის საქმეში. მუშათა საკითხმა დაჩრდილა ყოველი სხვა საკითხი, მან თითქმის სრულიად შეცვა თვითონ სოციალური საკითხი და ეს უკანასკნელი მუშათა საკითხად გადაიქცა.

ამგვარ პირობებში ჩაისახა მარქს-ენგელსის მოძღვრება. მათ შეამჩნიეს და ამასთანავე ნათლად გამოარკვიეს (განსაკუთრებით მარქსმა) ერთი მძლავრი ტენდენცია კაპიტალიზმის ვითარებაში: თანდათანი კონცენტრაცია კაპიტალისა და ამგვარივე თანდათანი გაპროლეტარება მშრომელ ხალხისა. პირველ მოვლენიდან მათ გამოიყვანეს თანდათანი კლება მესაკუთრეთა რიცხვისა, მეორედან—თანდათანი ზრდა პროლეტართა რიცხვისა. ამაზე ააგეს მთელი თავისი სოციალ-პოლიტიკური თეორია. ამასთან, მარქსი და ენგელსი ჰეგელის სკოლიდან იყვნენ და მატერიალიზმში ჩამოასხეს დიალექტიკა: ჰეგელის აზრით, იდეა ვითარდება დიალექტიურად, მარქს-ენგელსის აზრით, პირიქით, მატერია ვითარდება ამგვარად (დიალექტიურად), იდეა კი მისი სარკისებური გამოსახვაა, ლანდია და სხვა არაფერი აქედან, მარქს-ენგელსმა დიალექტური მეთოდი მიუყენეს ეკონომიურ ევოლუციას, რომელიც ვითომდა დიალექტურად ვითარდება: განსაზღვრული დებულება—ტეზისი, მისი მოპირისპირე დებულება—ანტიტეზისი და მათი უმაღლესად შეერთება—სინტეზი. სინტეზს შეუძლიან თავის მხრივ ტეზი გახდეს და ზემოხსენებული პროცესი გაიაროს და ასე ამნაირად ყოველმა მოვლენამ უნდა გაიაროს ამგვარი დიალექტური საფეხურები. ეკონომიური ვითარება მოვლენაა და, რასაკვირველია, მისი ვითარებაც დიალექტურ ვითარებას უნდა წარმოადგენდეს. და ხომ კიდევაც გამოსახეს ამგვარი საფეხურნი ეკონომიურ ევოლუციაში: პირველყოფილი კომმუნიზმი—ტეზისი, მის ნანგრევებზე აშენებული ინდივიდუალიზმი—ანტიტეზისი (თავის მხრივ ანტიტეზისშიც სამი საფეხური აღმოჩნდა: მონობის ხანა, ფეოდალობის ხანა და კაპიტალისტური ხანა) და მათი უმაღლესი ერთობა, სოციალიზმი—სინტეზი. აქედან ბუნებრივ გამოვიდა მათი ეგრედ წოდებული „მეცნიერული სოციალიზმი“. სოციალიზმი, მათის აზრით, არის სოციოლოგიური კატეგორია-კი არა, წმინდა ეკონომიური; იგი ერთი აუცილებელი განსაზღვრული საფეხურია ეკონომიურ ვითარებისა, სახელდობრ, კაპიტალიზმი უმწვერვალესი ეკონომიური ანტიტეზისია პირველყოფილ კომმუნიზმისა, და იგი იმმანენტურად გადავა კოლლექტივიზმში. უკაპიტალიზმოდ წარმოუდგენელია კოლლექტივიზმი, ამისათვის, რამდენადაც კაპიტალიზმი მალე განვითარდება, იმდენად მალე დადგება კოლლექტივიზმი; აქედან მათი წადილი სოფლად: მომზადება ბურჟუაზიულ ნიადაგისა „კლასთა ბრძოლის თავისუფალ გადაშლისათვის“. ასეთია მარქსიზმი. *)

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ინდუსტრიაში, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ინდუსტრიის რამდენსამე დარგში, მარქსმა და ენგელსმა შენიშნეს ერთგვარი ტენდენცია: თანდათანი კონცენტრაცია კაპიტალისა და თანდათანი გაპროლეტარება მშრომელ ხალხისა. შენიშნეს-რა ეს ტენდენცია, მათ იგი გაავრცელეს ინდუსტრიის ყველა დარგზე და სასოფლო მეურნეობაშიაც სავსებით გადაიტანეს. წვრილი დამოუკიდებელი გლეხი—ამბობდა მათი ცნობილი „მანიფესტი“—„აღარც კი არსებობს, ანუ თითქმის აღარ არსებობს, რადგან იღუპება ყოველ დღე“. ამრიგად, „მანიფესტის“ ავტორთათვის პარველში აგრარული საკითხი არც-კი არსებობდა. მაგრამ ეკონომიურმა ვითარებამ, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობაში, „მანიფესტს“ შემდეგ სხვა ხასიათი მიიღო. ამრიგად 1848 წელს აგრარული საკითხი არც-კი არსებობდა, რადგან თვითონ გლეხი, „მანიფესტის“ სიტყვით, არ არსებობდა ანუ თითქმის არ არსებობდა, ეხლა-კი მარქსისტებისათვისაც არსებობს იგი, არსებობს, მაგრამ მაგარი ის არის, თუ როგორ სწყვეტენ იმის არსებობას. ამ მხრივ საინტერესოა მათი ევოლუცია.

ჯერ თვითონ მარქსი თავის შემდეგს თხზულებებში აღარ უარჰყოფს ისე გლეხთა საკითხს, როგორც 1848 წელს. თავის ბროშურაში პარიზის კომმუნის შესახებ („მოქალაქეობრივი ბრძოლა საფრანგეთში“) იგი ამბობს, საფრანგეთის გლეხები რომ არ უშლიდნენ ვერსალის არმიის მიერ პარიზიდან გამოდევნილნი, ისინი უთუოდ საერთო ამბოხებას მოახდენდნენ და ამით შეუერთდებოდნენ პარიზის მუშებს; თვით კომმუნას შეეძლო ასე მიემართა გლეხებისათვის: „ჩვენი გამარჯვება—თქვენი შველაა!“ და სხ... როგორც ვხედავთ, აქ მარქსი გლეხობას ისე უარყოფით აღარ უყურებს, როგორც 1848 წელს; პირიქით, იგი აღიარებს ერთგვარ ინტერესებს პარიზის მუშათა და საფრანგეთის გლეხთა შორის.

კიდევ უფრო საყურადღებოა ამ მხრივ წერილი ფრ. ენგელსისა—„გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“, დაწერილი 1894 წელს, ესე იგი იმ დროს, როცა საფრანგეთში უკვე დაგვირგვინდა ბურჟუაზიის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა. „მეცნიერულ სოციალიზმის“ აზრით, ამ დროს გლეხთა გაპროლეტარება სავსებით უნდა მომხდარიყო და მათ უნდა დაეკარგოდათ, მაშასადამე, პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ—დახე „უბედურებას“—ეს ასე არ მოხდა და ენგელსი იძულებული შეიქნა აღიარა საკმაო რიცხვი წვრილ მესაკუთრე გლეხთა და მათი პოლიტიკური ძალა. „ერთ შემთხვევაში—სწერს იგი ზემო-დასახელებულ ბროშურაში (რუს. თარგმ. გვ. 31)—ჩვენი ფრანგი ამხანაგები უთუოდ მართალნი არიან: წვრილ გლეხის სურვილის წინააღმდეგ საფრანგეთში შეუძლებელია რაიმე მტკიცე პოლიტიკური ცვლილება.“ თუ გავიხსენებთ, რომ ამ ბროშურის გამოსვლის დროს საფრანგეთში უკვე განმტკიცებული იყო ბურჟუაზიული პოლიტიკური ცვლილება, მივხვდებით, რომ ენგელსის სახეში ჰქონდა სოციალური „ცვლილება“ და ის ძალა წვრილ გლეხთა, ურომლისოდაც ამ

---

*) ვსარგებლობთ, სხვათა შორის, მ—ოვის წერილით. ავტ.

*) ჩვენს წერილში, რასაკვირველია, ვერ შევეხებით ყველა ამ საკითხს. ამ მოკლე ხანში, უნდა გამოვიდეს ჩვენი გამოკვლევა, სადაც მკითხველი ნათლად დაინახავს შემდეგს: ა) მარქსიზმის მატერიალიზმი ფილოსოფიაში არის „გულუბრყვილო“ მსოფლმხედველობა. მას არ შეუძლიან, მაგალითად, განსაზღვროს სუბიექტივი და ობიექტივი მომენტი შემეცნებისა, რაც ასე ნათლად არის გამორკვეული რუსეთის ეგრედ-წოდებულ „სუბიექტივისტების“ მიერ (ლავროვი და მიხაილოვსკი); ბ) დიალექტიკა არის უარყოფითი „მსჯელობა“, წინააღმდეგი ლოღიკურისა; გ) თუ კი ცოტაოდნად მაინც შესაძლო იყო ჰეგელის იდეალიზმთან დიალექტიკა, ყოვლად შეუძლებელია ამგვარი მოთავსება დიალექტიკისა მატერიალიზმთან; დ) დიალექტიკას არ ძალუძს შეიმუშაოს იდეა პროგრესისა, ან დაგვისაფუძნოს რაიმე იდეალი, რადგან დიალექტიკამ არ იცის მიზანი; ე) კოლლექტივიზმი არ არის ეკონომიური კატეგორია, იგი სოციოლოგიური კატეგორიაა. ეს უკანასკნელი მუხლი, როგორც უფრო საჭირბოროტო, ძლიერ ვრცლად არის გამორკვეული და შეიძლება, ამ მოკლე ხანში „ცნობის ფურცელში“ იგი კიდეც გავაცნოთ მკითხველს, როცა შევეხებით ცენტრალიზმს და ფედერალიზმს. ეხლა დავუბრუნდეთ ისევ აგრარულ საკითხს.

◆ **საეროთ დაწესებულებათა** შემოსაღებად ამიერ-კავკასიაში ადმინისტრაციას საჭიროდ უცვნია მაზრებში იმ მემამულეების სიების შედგენა, რომელთა მამულებსაც სადგილ-მამულო გადასახადი აწევს, აგრეთვე იმ სავაჭროების პატრონთა, რომელნიც სამრეწველო გადასახადებს იღებენ. ამ ცნობების შეკრება, „კავ."-ს სიტყვით, 1 აგვისტომდე ნამესტნიკის კანცელარიამ დაავალა სახაზინო პალატებს.

◆ „ნ. ობ."-ს ქუთაისიდან სწერენ: „ამას წინად ქუთაისში. კ.—ს ცარიელ სახლში, **მოხდა აფეთქება**, რისგანაც სახლს ცეცხლი წაეკიდა. მეორე დღეს დამწვარ სახლში ჰნახეს კაცის თავის ქალა. სახლის პატრონი, იმისი ოჯახი და ნათესავები არ დაშავებულან. დამწვარ კაცის ვინაობა არ იციან".

◆ როგორც ამბობენ, **ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად** იწვევენ ბ-ნს იონა მეუნარგიას, რომელიც ამ ჟამად მომრიგებელ შუამავლადაა „ზუგდიდის მაზრაში.

◆ **სად. ბორჯომი.** 9 ივლისს. შუაღამის 1 საათზედ, ვიღაცამ ორჯერ ესროლა რევოლვერი სადგურის უფროსის თანაშემწეს თავ. ავალიშვილს და დასჭრეს.

◆ როგორც გვატყობინებენ, 24 ივნისს ს. ვაქირში (ქიზიყი), ნათლისმცემლის ეკკლესიაში **ალექსანდრე წულუკიძის და შამშე გელოვანის** სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. შემდეგ წარმოითქვა სიტყვები.

◆ 8 ივლისს ტფილისს **დაბრუნდა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე** გენერალი ი. დ. მალამა.

◆ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს მიმდინარე წლის **ხარჯთ-აღრიცხვა 20,000** მანათით **შეუმცირდა.** მიუხედავად ამისა, კომიტეტს საკმაო ფული ჰქონდა შეედგინა ფილოქსერასთან მებრძოლი დასები და დაეგზავნა საჭირო ადგილებში. მაგრამ კომიტეტს კვლავინდებურად თავისი ვალდებულება წელს არ შეუსრულებია, რადგან სოფლად ძლიერი მოძრაობა დაიწყო და დასი თავისუფლად ვერ იმოქმედებდაო.

◆ დღეს, 10 ივლის, ტფილისის სათავადაზნაურო სკოლის სადგომში მოხდება ამ სკოლის **საზოგადოების კრება.**

◆ გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობამ კუბერნატორს წარუდგინა მოთხოვნანი ტფილისის ყასბებისა. როგორც წინადაც გვქონდა აღნიშნული, ყასბებმა შესწყვიტეს საკლავების საყასბოში მოყვანა და დაკვლა და თავიანთი მოთხოვნილებანი ქალაქის გამგეობას წარუდგინეს. ყასბები თხოვენ დუქნების ქირების დაკლებას და მოჯამაგირეთა დათხოვნას; საქონლის დაკვლისათვის 40 კაპ. 20 კაპ. და 6 კ. მეტი გადასახადი არ იქმნეს; მოისპოს საქონლის დაზღვევა. ქალაქის საძოვარი ადგილები მუქთად დაუთმოს ყასბებს, განთავისუფლებულნი იქმნენ 27 მაისიდან დღევანდლამდე დაპატიმრებული ამხანაგები და სხვა.

◆ ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორს, შესრულებულ იქმნას ქალაქის სასაკლაოსათვის შემუშავებული წესი, ე. ი. სასაკლაოს მთელი ადმინისტრაცია განაგებდეს და არა ერთი ექიმი, როგორც ეხლაა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის სადგომში არსებობს წიგნთ-საცავი. ივლისიდან წიგნთ-საცავთან სამკითხველოც გაიხსნა. სამკითხველო ღია იქნება 1-დან 2 საათამდის, და 6-დან 9 საათამდის. უქმე დღეს 11-დან 1 საათამდის. სამკითხველოთი ისარგებლებენ ხელმოკლე მოსამსახურენი და ამიტომ უფასო უნდა იყოს. გამგეობამ-კი სამკითხველოში ყუთები დადგა, ვისაც რამდენი უნდა, იმდენი გადიხადოსო. ეს გარემოება უშლის ხელს შეუშლის სამკითხველოში შესასვლელად.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „თამამშოვის ქარვასლის ვაჭართა დადგენილებით სასტიკად აეკრძალულია ამ ქარვასლაში ზედმეტად დაფასება და მუშტრის დაძახება. ეს დადგენილება სისრულეში უკვე მოიყვანეს. მხოლოდ უკანასკნელ დროს ერთმა ვაჭარმა, სახელდობრ ალექსანდრე მატინოვმა (ქარვასლა № 42), დაარღვია ზემოდ აღნიშნული სავალდებულო დადგენილება. ამიტომ მას, ალექსანდრე მატინოვს, ბოიკოტი გამოუცხადეს; ნოქრებმა-კი მიატოვეს მისი მაღაზია და დღესაც არა მუშაობენ. როგორც საერთო სავალდებულო დადგენილების დამრღვევს, ალექსანდრე მატინოვს გუცხადებთ ჩვენს უკმაყოფილებას და ვცნობთ ამას პატივცემულ მუშტრებს". ამ ქაღალდზე ხელი უწერია 38 კაცს.

◆ გუშინ პოლიციის მე-2 ნაწილში, დავიდოვის ქუჩაზედ შემდეგი მკვლელობა მოხდა: ამ ქუჩაზედ, მელიქოვის სახლში, გამართულია ქედაბექის სპილენძის სადნობ ქარხნის სიმენსის კანტორა. 9 ივლისს, დილის 10 საათზედ, ამ კანტორაში მუშაობდა სიმენსის აგენტი, გერმანელი ფრიდრიხ ამმონი. ქარხნის პატრონს მართებია ქედაბექის ვაჭრის სამად-ასკერ-ოღლის ფული, ეს უკანასკნელი ტფილისს ჩამოსულა 8 ივლისს და ამმონისათვის უთხოვნია კუთვნილი ფული. აგენტს უთქვამს, ხვალ შეგატყობინებთ პასუხსაო. გუშინ, 9 ივლისს, აღნიშნულ დროს, სამად-ასკერი ხელახლა მისულა ამმონსს. უთქვამს, ფულის შესახებ ჯერ ქარხნიდან ცნობა არ მიგვიღიაო. ამის თქმის შემდეგ ამმონს წერა განუგრძვია. ასკერ-ოღლის უძვრია ხანჯალი და ორჯელ ისე ძლიერად ჩაუკრავს გვერდში ამმონისათვის, რომ იგი იქვე წაქცეულა მკვდარი. იქვე მჯდომი ამონის თანაშემწე ვეტცელი წამოვარდნილა და მკვლელისათვის ყელში ხელი უტაცნია. შეტაკების დროს ვეტცელი რამდენჯერმე დაჭრილა, შემდეგ მკვლელს თავი დაუძვრენია და გაქცეულა.

◆ კავკასიის პირველ მსროლელთა ბატალიონის უფროსმა ექიმმა აცნობა ბატალიონის უფროსს, რომ ამ ბოლო დროს სალდათები რაღაცით ხდებიან ავად და მიზეზი-კი არ ვიციო. ხორცის მოიჯარადრე ოჰანეზოვი ისეთს ხორცს გვაწოდებს, რომელზედაც არ ეჩნევა ბეითალთა შემოწმების ნიშანი და „შეიძლება ხორცი უვარგისი იყოსო. ეს ამბავი ბატალიონის უფროსმა გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილეს აცნობა და სთხოვა აიძულოს მოიჯარადრე ოჰანეზოვი, რომ მან საქონელი უსათუოდ ქალაქის საყასბოში დაჰკლას.

◆ 20 ივნისს, დილის 10 საათზე, კუკიის [illegible] სასაფლაოზე, [illegible] მებაღეებმა შეიპყრეს სამი ქურდი, რომელთაც აღმოაჩნდათ დამტვრეული ჩარჩოები და „ტაბლიცები" ზედ წარწერით: ა. ა. მაზალოვი პ. ი. შეპელოვ, გ. გ. ბობილევ, გორბუნოვა, შტიროვა ჩეგლაკოვა და სხ. ერთი ამ ქურდთაგანი გაიქცა და თან წაიღო მრავალი სამკაული ძეგლებისა.

◆ ქალაქის გამგეობამ განუმარტა გადასახადთა ამკრებ აგენტებს, რომ კანონით მათ შეუძლიათ თავისუფლად შესვლა და გარდასახადების გადახდევინება ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სავაჭრო სახლებსა და კონტორებში, ხოლო კერძო სახლებსა და სადგომებში-კი ნება არა აქვთ. კერძო ბინებზე მათ შესვლა შეუძლიანთ რაიმე გაუგებრობის ასახსნელად, ისიც მაშინ, თუ სახლის ან სადგომის პატრონები ნებას დართავენ.

◆ სად. ბაქო. 7 ივლისს, შუადღის 4 საათზედ, მანევრების დროს, ამწონი კონსტანტინე ლაბჟანიძე ლიანდაგზე იდგა და ვაგონებს სწერდა. აქეთ-იქიდან ვაგონები მოადგნენ და გულის ფიცარი ჩაუჭეჭყეს.

◆ სად. რიონი. საღამოს 8 საათზე 3 შეიარაღებული ლეკი დაეცა თავს ნავთის მილის მოხელე ოჰანეზოვის სახლს, დასჭრა თავში ღამის დარაჯი აკოფოვი და წაიღეს ნივთები.

რეზოლიუცია

გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა კრებისა 27 ივნისს 1905 წ.

რადგან გორის სასულიერო სასწავლებლის თითქმის მთელმა საზოგადოებამ გადაჭრით გამოსთქვა სურვილი [illegible] სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის ნაცვლად საზოგადო ტიპის სასწავლებლები, რადგან ახლანდელი ჩვენი სასულიერო სასწავლებლები არ შეეფერებიან ახლანდელ დროის მოთხოვნილებას და სამღვდელოების შვილები პატარაობიდანვე წინასწარგანმზადებულნი ხდებიან სასულიერო თანამდებობათა დასაჭერად და სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის გათავების შემდეგ ვერ არიან მომზადებულნი სხვა მოქმედებისათვის ანუ სხვა სასწავლებლებში შესასვლელად და ამის გამო იძულებულნი ხდებიან დაიჭირონ სამღვდლო-საეკლესიო მსახურთა ადგილები, თუნდაც არავითარი ამისდამი მოწოდება არ ჰქონდეთ,—ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერთ გორის სასწავლებლის ოლქის სამღვდელოების დეპუტატებს, პასუხად გორის სასულიერო სასწავლებლის მთავრობის მიერ მოცემულ წინადადებისა, გვქონდა მსჯელობა ხსენებულ სასწავლებლის საჭიროებათა შესახებ დავადგინეთ:

1. სასულიერო სასწავლებელი შეცვლილ იქმნას საზოგადო ტიპის სასწავლებლად საგნების სამშობლო ენაზე სწავლებით, ამასთან რიგიანად მოეწყოს სწავლება რუსულის ენისა (როგორც საგნის), რუსულ ლიტერატურისა და რუსულ ისტორიისა—რუსულ ენაზე; 2. სამღვდლო ადგილებისათვის კანდიდატების მოსამზადებლად დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სღვთის-მეტყველო ორ-წლიანი კურსები, რომელზედაც უნდა მიღებულ იქმნან ისინი, ვისაც საშუალო სასწავლებელი აქვთ გათავებული; ყველა სღვთის-მეტყველო საგნები უნდა ისწავლებოდეს სამშობლო ენაზე; 3. გორის სასულიერო სასწავლებელი, რადან იქიდან დათხოვნილ იქმნა მოწაფეთა დიდი უმრავლესობა, დახურულად ირიცხებოდეს და სამღვდელოება და ეკკლესიები, შეწუხებულნი ამ მათთვის ნაკლებ სასარგებლო სასწავლებლის სასარგებლოდ გადასახადებით, ითვლებოდნენ თავისუფლად ამ გადასახადებისაგან; გაგრძელდეს მხოლოდ ძლევა იმდენ გადასახადისა, რამდენიც ისტუმრებდეს სასწავლებლის შენობისათვის უწ. სინოდისაგან აღებულ ვალს და ამ შენობის შესანახ ხარჯს; 4. ნამდვილი ამა რეზოლიუციისა გაეგზავნოს ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორას და პირები ეპარქიის ეპისკოპოსებს და გორის სასულიერო სასწავლებლის მთავრობას.

რუსეთის ქრონიკა

აგრარული უწესობანი მთლად მოედო ხერსონის გუბერნიის ანანიევის მაზრას. გლეხები იკრიბებიან დიდ ჯგუფებად, 300—600 კაცი ერთად, გადადიან სოფლიდან სოფლად, სდევნიან უცხო ქვეყნების მუშებს და სთხოვენ მებატონეებს მამულების იჯარის შემცირებას, დღიურ და ნარდად აღებულ სამუშაოს ფასის მომატებას და თანხმობის ხელწერილს ართმევენ. კაფიცულები თითქმის ყველა სოფლებში ძალად იერთებენ სოფლელებს, რომ იმათმა რიცხვმა იმატოს.

თავდასხმა, ძარცვა-გლეჯა, შფოთი და მკვლელობა კი არსად ჩაუდენიათო, მოგვითხრობს გაზ. „რაზ."-ი.

სასულიერო კრების მოწვევა. პეტერბურგის სასულიერო წოდების პირთ განუზრახავთ შეიმუშაონ ენკენისთვისთვის საკითხი სასულიერო კრების მოწვევის შესახებ. ამ დროისათვის პეტერბურგში მოელიან რუსეთის ყველა ეპარქიის სამღვდელოების წარმომადგენლებს და განზრახულ საკითხების ოფიციალურად ჩაბართვას. („ნოვ. დ.").

თავ. სვიატოპოლკ-მირსკის საერო განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ გავრცელებული ხმები სიმართლეს მოკლებულია. სვიატოპოლკ-მირსკის მოელიან პეტერბურგში სექტემბრის გასულს და შეიძლება იმან მონაწილეობა მიიღოს საერო წარმომადგენლობის საქმეებში. ამ მიზნით მას ხანგრძლივი მოგზაურობა მოუხდება რუსეთის სხვა და სხვა გუბერნიაში. („ნოვ. დ.").

საზღვაო მინისტრად ახლად დანიშნულ ვიცე-ადმირალ ბირილევის თანაშემწედ, როგორც გაზ. „ს." გაუგონია, დაინიშნება ვიცე-ადმირალი ზ. როჟესტვენსკი.

მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ყველა სასოფლო სკოლაში ცირკულიარი გაუგზავნია და სასტიკად უკრძალავს მასწავლებლებს, რომ იმათ არათუ არავითარი საუბარი არ იქონიონ მოწაფეებთან ეხლანდელ დროის შინაგან ცხოვრებისა და ომიანობის შესახებ, არამედ პასუხიც კი არ მისცენ მოწაფეებს ამისთანა საგნების შესახებ აძრულ კითხვებზე. („რ. სლ.").

რუსეთის ემიგრანტები საზღვარ-გარედ. ბუდაპეშტიდან მიღებულ დეპეშის სიტყვით, უნგრეთის სატახტო ქალაქში ათასობით შეხვდებით რუსეთის ემიგრანტებს, რომელნიც უმეტეს ნაწილად შვეიცარიასა და ინგლისში მიემგზავრებიან. ყველაზე მეტი იმათში ადესის ებრაელები ყოფილან, რომელნიც დევნას არიდებენ თავსაო. („რ. ს.").

ხალხის ყრილობები. მთელ მაისის და ივნისის განმავლობაში ყუბანის ოლქის სოფელ არმავირსა და სხვაგან თითქმის ყოველ დღე იმართება კრებები სხვა და სხვა საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებები იმართებოდა სოფელ გარედ მდინარესთან და მინდორში. ამ ყრილობებზე მღეროდნენ სარევოლიუციო სიმღერებს და ამბობდნენ ცხარე-ცხარე სიტყვებს. ხშირად წითელ დროშასაც აფრიალებდნენ ხოლმე. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ თვალსაჩინო ზომებს არაფერს ხმარობდა. თუმცა ყაზახები ყოველგან დადიოდნენ, მაგრამ შეტაკება არსად მომხდარა. ასე წყნარად მიდიოდა საქმე ადესის ამბების მოსვლამდე. ადესის ამბებმა კიდევ უფრო აღაფრთოვანეს ხალხი. 23 ივნისს მოხდა დიდი დემონსტრაცია ყოფაზედ; დემონსტრაცია გამოიწვია რამდენისამე აგიტატორის დატუსაღებამ, მათ შორის ერთი მასწავლებელი ქალიც იყო. ხმა გავრცელდა, რომ ეს ქალი იმ საღამოს უნდა გაეგზავნათ არმავირში. ამბავი მართალი აღმოჩნდა და საღამოს 400-მდე კაცი და ქალი მიაწყდა სადგურს. პოლიცია უკუაგდეს, ქალი განთავისუფლეს და სარევოლიუციო სიმღერებით გაუდგნენ გზას. ბრბოს ჟანდარმები დაედევნა, მაგრამ ხალხმა ისინიც მოიგერია რევოლვერების სროლით. („კუბ. საოლ. უწყ.").

აგრარულ მოქმედებათა შესახებ დანიშნული გამოძიება. ამ მოკლე ხანში დაინიშნება სენატორის სამი რიგი რევიზია, რომელთაც უნდა გამოიძიონ რუსეთის სხვა და სხვა მხარეებში მომხდარი უფრო შესანიშნავი თვალსაჩინო სააგრარო მოძრაობა-უწესოებანი, იმათი გამომწვევი მიზეზები და აგრეთვე საწინააღმდეგო ზომები. („რ. ს.").

ყრმა ნოქართა გაფიცვა. ეკატერინოსლავიდან სწერენ გაზ. „რ. ს.", რომ 4 ივლისს იქ გაიფიცნენ სავაჭრო დაწესებულებების პატარა ბიჭები, 10—14 წლის ნოქრები, რომელთაც პოლიცმეისტერმა კრების გამართვის ნება დართო თავიანთ მოთხოვნილებებზე მოსალაპარაკებლად. ყრმათა გუნდი მშვიდობიანად დადიოდა ქუჩებში და აგროვებდა მაღაზიებიდან თავიანთ ამხანაგებს. ხალხი ცნობის მოყვარეობით ადევნებდა თვალ-ყურს ამ ორიგინალურ პროცესიას და აღმოფრთოვანებული იყო მის სახახაობით.

მიტინგი თორაში. 26 ივნისს ბერდიჩევის ერთ თორაში ადგილობრივ ორგანიზაციის „პოალეიციონ"-ის მოწოდებით მოხდა დიდი მიტინგი, რომელსაც ათასი მუშა კაცი დაესწრო. ერთმა ორატორმა წარმოსთქვა გრძნობით სავსე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბრძოლისა და ადესის შემთხვევებს საზოგადოდ მთელ რუსეთის პროლეტარიატისა და კერძოდ ებრაელებისთვის. ორატორი დამსწრეთ იწვევდა ბიუროკრატიასთან საბრძოლველად და უხსნიდა პოლიტიკურ თავისუფლების მნიშვნელობას. („ნოვ.").

ქურდთა გაფიცვა. ყუბანის ოლქიდან გაზ. „დონ. რეჩ."-ს გაფიცვის ერთ ორიგინალურ შემთხვევასა სწერენ: „გაიფიცნენ ყველა ქურდები. აგერ რამდენი ხანია მოისპო ქურდობა და ქურდების ხსენება. წინად კი დამე როგორ გაიგლიდა, რომ სადმე რამე არ დაკარგულიყო. ქურდთა გაფიცვა, უეჭველია, პოლიციის მოხელეთა შემავიწროებელმა ზომებმა გამოიწვიაო", დასძენს გაზეთი. გაიფიცნენ ქურდები იმით, რომ პოლიციას ქრთამებს აღარ აძლევენ. („რ.").

პატარა ფელეტონი

შავი ხიდილი.

(ანდრეევისებური).

ბრძოლის ველზედ გიუგი. მშვენიერი ზაფხულის დღე იყო. მზე უხვად ჰგზავნიდა თავის ელვარე სხივებს და თითქოს უცინოდა გაბრწყინვებულ ვაჟ-კაცთა რაზმს, რომელიც აღფრთოვანებულას სიმღერით მამაცად მიდიოდა წინ. ვინ გადაუღობავდა გზას სიმამაცეს, გულადობას? ვინ დაუმტკიცებდა ახლად ამოსულ წვერულვაშიან ვაჟ-კაცებს, რომ ისინი მიდიან სასიკვდილოდ? ვინ დაიჯერებდა რომ, სცდებიან, სტყუვდებიან თავიანთ მისწრაფებაში? ვინ გაბედავდა და ეტყოდა: „შესდექით, უგუნურებო! სიზმარია ის, რის მოსაპოვებლადაც თქვენ ამხედრებულხართ და თავი დაგიდვიათ მსხვერპლად?". არავინ. ვინც დაინახავდა მათ მომღიმარე სახეს, მათ თვალებს, რომელშიაც აღგზნებული იყო ცეცხლი შეუპოვრობისა, ღრმა რწმენისა; ვინც მოისმენდა მათ გმირულ სიმღერას, არ შეეძლო ეთქვა: „ესენი მართალნი არ არიან". დამონებული რაღაცა იდუმალ ძალით, ყველას, ვინც-კი შეხვდებოდა გზაში, რაღაც ჟრუანტელი უვლიდა ტანში, გული ხშირად უძგერდა ფეთქს და თავისდა უნებურად ყოველი უერთდებოდა ვაჟ-კაცთა რაზმს. მიდიო-

---

ცვლილების მოხდენა უიმედოდ შეუძლებელია. ქვევით კიდევ დავინახავთ, თუ როგორ იცვლებოდა მარქსიზმი ამ საკითხის შესახებ. ეხლა-კი მივმართოთ კაუტსკის, ორტოდოქსალ მარქსიზმის ამ სულის ჩამდგმელს, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმისი შეხედულებაც, როგორც ამას მკითხველი ქვეით დაინახავს, გარიანად იცვლებოდა.

თავისი „აგრარულ საკითხში" კაუტსკიმ გამოარკვია წინააღმდეგობა გლეხთა და პროლეტართა ინტერესებისა და შემდეგ ასეთი კითხვა დასვა: „უნდა გვეშინოდეს თუ არა, რომ ამგვარ პირობებში 1848 წლის კომედია განმეორდება, და ერთს მშვენიერ დღეს ლურსმებით დაჭედილი წაღა გლეხობისა და გლეხთა შვილებისა წამოვა წინააღმდეგ პროლეტარიატისა და გასრისავს მას?" ამ კითხვაზე იგი შემდეგ პასუხს იძლევა: ასეთი შიში უსაფუძვლოა, რადგან 1848 წელს სოფლის მცხოვრებთა რიცხვი გერმანიაში $^3/_4$ შეადგენდა, ეხლა-კი მთელ მცხოვრებთა $^1/_3$ ძლივს აღემატება; უსაფუძვლოა ასეთი შიში, რადგან პროლეტარიატი გერმანიაში „უკვე უძლიერესს კლასს შეადგენს" და, ამას გარდა, გერმანია, „მსწრაფლის ნაბიჯით მიდის ინგლისის პირობების შესახვედრად". სხვა ისეთ სახელმწიფოთაგან, სადაც სოფლის მცხოვრებთა რიცხვი დიდია, იგი იხსენებს საფრანგეთს და ამერიკას, მაგრამ თანვე თავის თავს იმედებს, რომ გლეხთა რიცხვი იქაც ძლიერ შემცირდებაო...

აქედან ნათლადა სჩანს, რომ სოციალურ „ცვლილების" მოსახდენად ობიექტივ საჭიროა, კაუტსკის აზრით, მშრომელ გლეხთა რიცხვის შემცირება მათის გაპროლეტარებით. მართალია, გერმანიაში ინდუსტრია ძლიერ განვითარდა და სოფლის მცხოვრებთა რიცხვმაც შესამჩნევად იკლო, მაგრამ კაუტსკის დავიწყდა, რომ ამ შემცირების გამო გერმანია ვერ კმაყოფილდება თავის მოყვანილ პურით და იძულებულია მცხოვრებთა $^1/_5$-სთვის საჭირო პური სხვა მხრიდან შემოიტანოს. კაუტსკის დაავიწყდა ის გარემოება, რომ მრეწველი მხარე ჰგულისხმობს მიწათმოქმედ მხარეს, სადაც გარემოებანი იმდენად „ხელს უშლიან" პროლეტარიატის გამარჯვებას, რამდენადაც მრეწველ მხარის გარემოებანი „ხელს უწყობენ" ამ გამარჯვებას. გერმანიაში $36^0/_0$ მცხოვრებთა მიწათ-მოქმედებას ეწევა და აწარმოებს $^4/_5$ საჭირო პურისას; აქედან, გერმანიას რომ თვითონ მოეყვანა იმდენი პური, რამდენიც საჭიროა, მაშინ მან აუცილებლად მიწად-მოქმედთა რიცხვი $45^0/_0$-მდე უნდა აიყვანოს. საფრანგეთში მიწად-მოქმედებას ეწევა მცხოვრებთა $46^0/_0$. მიუხედავად ამისა, მაინც არა ჰყოფნის თავის მიწა-წყალზე მოყვანილი პური. ინგლისში მიწათ-მოქმედებას მისდევს მცხოვრებთა მხოლოდ $10^0/_0$ და ამის გამო იქ მოჰყავთ მხოლოდ იმდენი პური, რამდენიც მცხოვრებთა ერთ მესამედს ეყოფა. დანარჩენი ორი-მესამედი საჭირო პურისა რომ თვითონ ინგლისში დაიმუშაოს, მაშინ მან მიწათ-მოქმედთა რიცხვი 30 პროცენტამდე უნდა გაადიდოს. ამრიგად, გადაჭარბებული არ იქმნება აღვიაროთ, რომ მთელ მცხოვრებთა რიცხვის 40 და 50 პროცენტი აუცილებლად მიწათ-მოქმედებას უნდა ეწეოდეს, რათა მთელ სახელმწიფოს მოთხოვნილება სამეურნეო ნაწარმოებისა თვითონ დააკმაყოფილოს. ყოველ თეორეტიკოსმა, რომელიც იკვლევს ამ აგრარულ საკითხს, ამ ორსავე მხარეს უნდა მიაქციოს ყურადღება: მან უნდა მიიღოს მხედველობაში მთელი ჯგუფი მხარეთა, როგორც გამტანთა ისე შემომტანთა, და მხოლოდ ამას შემდეგ განიხილოს ეს მეტის-მეტად მწვავე საზოგადოებრივი საკითხი.

გვეც არ იყოს, სასოფლო მეურნეობაში კაუტსკის პროგნოზი „უიმედო" გამოდგა. იმ დროს, რადა კაპიტალიზმი ინდუსტრიაში თავს უყრის ქალაქებში მუშათა მასსას, ჰქმნის სახელდახელო პირობებს მუშათა გაერთიანებისათვის და კლასობრივ ბრძოლისათვის, სასოფლო მეურნეობაში, პირიქით, იგივე კაპიტალიზმი „ჰქსაქსავს სოფლის მუშებს ფართო სივრცეზე, აცალკევებს მათ, აბრკოლებს გონებრივ განვითარებასა და ართმევს ექსპლოატატორთა მიმართ საბრძოლველ საშუალებას" და „ამასთან ნიადაგი მწირდება, სასოფლო მეურნეობა იღუპება". რამდენად საჭირო ხდება სასოფლო მეურნეობისათვის დარღვევა კაპიტალისტურ ფორმათა, დარღვევა კაპიტალისტურ ინტერესებისა, იმდენად ნაკლებ ძალუძს მას (ესე იგი, სასოფლო მეურნეობას. გ. ქ.) თვის-თავიდანვე განავითაროს საჭირო ძალა და ნასახი, იმდენად მეტად საჭიროებს იგი გარედან აძვრას".

ამრიგად, ნახევარი და ორი-მესუთედი ყველა კუთხის მცხოვრებთა, კაპიტალიზმის განვითარების გამო, ამ დამღუპავ ევოლიუციისაკენ მიდის. მხოლოდ მცხოვრებთა მეორე-ნახევარის შორის, სადაც ინდუსტრიას ეწევა, ხდება უფრო სასურველი ევოლიუცია, რომელიც ჰქმნის არა მარტო სოციალურ ბოროტებას, არამედ მის საწინააღმდეგო ძალასაც. რა არის ეს ძალა? თანამედროვე პროლეტარიატი—გვიპასუხებს კაუტსკი—პროლეტარიატი, რომელიც თანდათან იზრდება და მაგრდება ტეხნიურად გასაზოგადოებრივ წარმოებაში.

მაგრამ ვიკითხოთ: ნუ თუ ასე ძლიერ მატულობს პროლეტართა რიცხვი, რომ მარტო პროლეტარიატმა იკისროს სოციალურ „ცვლილების" მოხდენა? ეკონომიური სინამდვილე ამაზე სულ სხვას გვეუბნება. ავიღოთ მაგალითად ბელგია. კაპიტალიზმის 50 წლის მსწრაფლ-ვითარების შემდეგ მუშათა რიცხვი ერთ სამრეწველო წარმოებაზე ორიდან მხოლოდ სამამდე ავიდა. აქედან არ არის ძნელი გამოვიანგარიშოთ შემდეგი: თუ რომ ერთ წარმოებაზე მხოლოდ სამი კაცი მოდის, მაშინ მსხვილ მრეწველობაში შეგვიძლია ჩავთვალოთ ნახევარი ან ორი-მესამედი მთელ მუშათა რიცხვისა; დანარჩენი ნახევარი ან ერთი-მესამედი საშუალო და წვრილ მრეწველობას უნდა მივათვალოთ. ერთის სიტყვით, რაც უნდა დიდი რიცხვი ავიღოთ „თანამედროვე პროლეტარიატი"-სა, იგი ვერ გასცდება მთელ მცხოვრებთ რიცხვის ერთს მესამედს.

თუ ეს ასეა, მაშ განა თვით კოლლექტივიზმის განხორციელება არ მოითხოვს მიმართოთ სხვა კატეგორიის მუშა ხალხსაც? თუ „პროლეტარული შეხედულება" არის შეხედულება პროლეტარიატის ნამდვილ ინტერესებისა, თუ ეს ინტერესები პროლეტარიატისა ბოლოს დაბოლოს კოლლექტივიზმის ინტერესებით განისაზღვრება, მაშინ ეს ნამდვილი შეხედულება მოითხოვს არა იმას, რომ დავუპირისპიროთ „თანამედროვე პროლეტარიატი" მშრომელ გლეხობას და ყოველ წამს გავიძახოთ: სანამ გლეხი არ „გამოიხარშება ფაბრიკის ქვაბში", მანამდე ვერ მიიღებს პროლეტარის შეხედულებასაო და აქედან უთუოდ საჭიროა მისი ფაქტიური გაპროლეტარება,—არამედ მოითხოვს იმას, რომ პროლეტარი და მშრომელი გლეხი განვიხილოთ როგორც სხვა და სხვა კატეგორია ერთისა და იმავე მშრომელ ხალხისა და „წმიდა პროლეტარულ" შეხედულების ნაცვლად მივიღოთ შეხედულება „მშრომელთა", რომელიც თვით შეიცავს „პროლეტარულ შეხედულებას", როგორც მთელ თავისს ნაწილს. მაგრამ „პროლეტარული შეხედულება" არ ესმით მარქსისტებს ასეთის განსაზღვრით. მათის აზრით, პროლეტარული შეხედულება უიმედოდ შეუძლებელია მიიღოს მან, ვისაც არ გაუვლია ფაბრიკაში გამოხარშვის პროცესი. ეს პროცესი იმათისავე აზრით, უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ განსაწმენდელს (чистилище), ურომლისოდაც დაკეტილია შესავალი კოლლექტივისტურ ელიზიუმში...

ამას გარდა, საყურადღებოა შემდეგი. მარქს-ენგელსის შეხედულება 1848 წელს ეკონომიურ ევოლიუციაზე და შეხედულება ამავე საგანზე კაუტსკისა ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მიუხედავად ამისა, კაუტსკის მაინც და მაინც არ შეუცვლია აგრარული პროგრამა. მან მიიღო მხედველობაში მრავალი ფაქტი და პირდაპირ აღიარა, რომ სოფელში არა სრულდება კაპიტალის კონცენტრაცია: გლეხი, მარქს-ენგელსის თეორიის წინააღმდეგ, იმის მაგიერ, რომ მსხვილ მეურნეობაში ბოგანოდ გახდეს, რჩება ისევ წვრილ მწარმოებლად. ამ ბოლო დროს კაუტსკიმ ეს აზრი კიდევ უფრო გარკვევით აღიარა. „ერთს მნიშვნელოვან პუნქტში—სწერს იგი („Socialismus und Landvirt chaft", Reuo keit, 1903 წ. № 22)—უთუოდ უნდა შევცვალოთ ჩვენი შეხედულება. გლეხი არა ჰქრება ისეთის სიჩქარით, როგორც ამას მოველოდით. ამ უკანასკნელ ათ წლიწადს იგი ძლიერ ნელა ჰკარგავს თავის პოზიციებს, თუ კი საერთოდ ჰკარგავს რასმე. მომავალი გზა განვითარებისა კი ძლიერ ძნელია ეხლა გავითვალისწინოთ... მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ისტორიულ მხედველობის საზღვრებში არა გვაქვს არავითარი საფუძველი ველოდოთ ევროპაში წვრილ სასოფლო წარმოების ჩქარა დაცემას, როგორც არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქროთ წინააღმდეგი და იმედი ვიქონიოთ, რომ წვრილი წარმოება შესამჩნევად გადადგამს წინ ნაბიჯს და მოერევა თვით მსხვილ სასოფლო წარმოებას".

გ. ქ.

(დასასრული იქნება)

და რაზმი, მიიმღერდა და თანდათან მრავლდებოდა. პატარა რაზმი გადაიქცა ურიცხვ ლაშქრად.

მღელვარე დიდებული ზღვა ხომ გინახავთ: ადის და დადის ტალღა. მჭექარე, მძლავრი ხმა შორს გაისმის და ემუქრება მტერს, ასე ადიოდ-ჩადიოდა ადამიანების ტალღა, და ცასა სწვდებოდა მისი ჭექა-ქუხილი და უქადიდა განადგურებას ყველას, ვინც კი დიად მსვლელობის შეჩერებას გაბედავდა. „გამარჯვება ჩვენია!“ ჰფიქრობდა ყველა და გულადად მიდიოდა წინ.

ცა ურბად მოიღუშა. შავმა ღრუბელმა მოიტაცა მზე და თავის შავ გულში ჩამალა. გაჰქრა ბრწყინვალე დღე. ჩამობნელდა.

„მტერი გამოჩნდა“, შესძახა მოწინავე რაზმმა. დაემზადა ლაშქარი საომრად. ან სიცოცხლე, ან სიკვდილი,—ეს ხომ გადაწყვეტილია... მაგრამ... სად არის მტერი? რატომ არავინა ხედავს იმის ლაშქარს? ლაშქრის მაგივრად წამოიწია წინ უზარმაზარმა მდევმა. არაკებშიაც არ შეხვდებით იმისთანა საშინელებას. ათასი თავიება: ერთი იყო ისეთი დიდი, რომ მასზედ ასი სახლი თავისუფლად მოთავსდებოდა; მას მოსდევდა უფრო პატარა; ბოლოს მუშტის ტოლა იყო. ყველას დასისხლიანებული თვალები ჰქონდა. პირისახე თითქოს ერთ სახად გადაჰქცეოდათ და საშინელი ხარხარი ამოსდიოდა ათას დაღებულ პირიდან. მოდიოდა წინ მდევი და ხარხარებდა. იცოდა, რომ ძუძუ მწოვარა ბავშვებმა მოინდომეს მისი მფლობელობის გაუქმება; მოინდომეს ბრწყინვალე მზის სამუდამოდ ელვარება და სითბო იქ, სადაც მზე მის ბრძანებით ამოდიოდა სულ მოკლე ხნობით.

ჰა! ჰა! ჰა! გრგვინავდა მდევი და მოდიოდა წინ. შესდგა ვაჟ-კაცთა ლაშქარი. შეძრკა მისი გული... წამიც და თავზარდაცემული უკუიქცევოდა... მაგრამ... ჰა! ჰა! ჰა! გაისმა სიცილი, სიცილი ბრწყინვალე, ელვარე. ჰა! ჰა! ჰა! გაისმა დაბლად, ერუდ შავი სიცილი და შესწყდა. გამობრწყინდა მზე და ელვარედ განათა ბრძოლის ველი. სიცილი ნათელი. ბრწყინვალე და სპეტაკი გამეფდა.

ყვავი

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ

სათავად-აზნაურო სკოლის მდგომარეობაში მომხდარი ცვლილება დიდ რამედ არ მიგვაჩნია, მაგრამ არც ისე დამცირება და გადამახინჯება ვარგა, როგორც ამას გაზეთი „ივერია“ სჩადის.

ახალის წესით, სათავად-აზნაურო სკოლას ეძლევა კერძო გიმნაზიის უფლება, ე. ი. ამ სკოლის მოწაფენი იძულებული არ იქნებიან **ექსტერნებად** დაიჭირონ ეგზამენები მთავრობის გიმნაზიებში; თვითონვე სკოლაში გამოიცდებიან თავიანთ მასწავლებლების მიერ, ისიც არა ორმოც საგანში. ეს დიდი შემსუბუქებაა მოსწავლეთათვის. წრევანდელ კრებაზე არჩეულ საგანგებო კომისიას, რომელმაც სკოლის პროგრამა უნდა შეიმუშავოს, სრულიად არ დაუშლის ხელს ეს ცვლილება. წერილის ავტორს ალბად, არ სცოდნია „წესები შესახებ კერძო სასწავლებლებისა“, თორემ არ იტყოდა, რაც სთქვა. მესამე პარაგრაფი ამ წესდებისა ამბობს:

არჩევა სასწავლო საგნებისა ყოველ კერძო სასწავლებელში დამოკიდებულია იმ პირისაგან, ვინც მსურველია სასწავლებლის დაარსებისა. ხოლო ყური ეგდოს იმას, რომ სასწავლო საგნებ შორის უთუოდ იყოს სამღვთო სჯული და რუსული ენა. იმ სასწავლებლებში, სადაც გეოგრაფიასა და ისტორიას ასწავლიან, უნდა ასწავლიდნენ რუსულ ისტორიასა და გეოგრაფიას“.

რაც შეეხება კომიტეტის დახასიათებას, მის თვითნებობას, ჩვენ „მოღვაწეთა“ მუდმივ შიშს ელემენტალურ უფლებათა მოთხოვნაში, „ივერიის“ სიტყვებს სავსებით ხელს ვაწერთ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ბატონო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის საშუალებით ნება გვიბოძეთ გამოვაცხადოთ მკითხველთა საყურადღებოდ ის მოთხოვნები, რომლებზედაც დავეთანხმეთ გლეხებს ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი ს. შინდისში (გორის მაზრა) მცხოვრებნი სასულიერო პირნი და აზნაურნი. ეს მოთხოვნები შემდეგია:

1. მიეცეთ გლეხებს ნადელები სრულს საკუთრებად;
2. მემამულეების საკუთარი მიწა, რასაც თითონ არ დაისაჭიროებს, მეათედად გაიცეს გლეხებზე;
3. გლეხებს შეეძლოთ თავისუფლად სარგებლობა ქვიშითა, და ნარიყით უფასოდ;
4. საძოვრები მიეცეთ საქონლისათვის უსასყიდლოდ;
5. გლეხებს ნება ჰქონდეთ ტყიდან უფასოდ გამოზიდონ მასალა თავის სახლის საჭიროებისათვის;

ერთის სიტყვით, ვუცხადებთ ძმობას და ვუერთდებით ყველა ჭირ-ვარამში, რაზედაც ხელს ვაწერთ:

ზაალ მახვილაძე, დიმიტრი მახვილაძე, ნინა გარსევანიშვილისა, ალექსანდრე ბერძნიშვილი, სვიმონ მირზაშვილი, ადათი უთუმიძისა, მიხეილ გარსევანიშვილი, კოსტე მირზაშვილი, მიხეილ მირზაშვილი, არჩილ მირზაშვილი, იასონ ბერძნიშვილი, გიო მირზაშვილი, ალექსანდრე რამინოვი, ვანკა გარსევანიშვილი, შაშიკო გარსევანიშვილი, მთავარ-დიაკვანი იოანნე რჩეულიშვილი, კოტე მირზაშვილი, გიორგი მირზაშვილი, სანდრო გარსევანიშვილი, ლევან დავითაშვილი, გიო გარსევანიშვილი, გიორგი მირზაშვილი, ქრისტეფორე დავითაშვილი, დათიკო გარსევანიშვილი, ილიო ბერძნიშვილი, ზ. სადარიძე, მღ. დავით სიმონოვი. ბაბელ თავითაშვილი, მარიამ დავითაშვილისა, ნინო თულაშვილისა, მღ. ოსიმე კვინიკაძე, ოლგა მირზაშვილისა, ნინო მირზაშვილისა, დარისპან თავუელიშვილი, ზურაბ თავუელიშვილი, იასონ თავუელიშვილი.

გთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს ჩვენი წერილი

ᲦᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 ივლისი.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ივლისი. ვიტტე მოვიდა დილის 4 საათზე; მას მიეგება ელჩი ნელიდოვი, ვაშინგტონის ყოფილი ელჩი კასინი და მინისტრ-პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი. ვოკზალზე გაისმოდა ხმები: „გაუმარჯოს რუსეთს“-ო. სადგურზე ვიტტესთან ვაგონში შევიდნენ ფინანსთა სამინისტროს აგენტი რაფალოვიჩი და რამდენიმე კორესპონდენტი, რომელთაც ვიტტემ უთხრა, რომ ვერაფერს ვერ ეტყვის თავის მინდობილებათა შესახებ „პეტ. სააგ.“-ის კორესპონდენტს გაუგია, ვიტტე დარწმუნებულია, რომ ომი უნდა გაგრძელდეს და შესაძლებელიც იქნება ეს, იმ შემთხვევაში, თუ იაპონიამ ძლიერ დიდი მოთხოვნები წარმოგვიდგინა. ოთხშაბათს დილით ვიტტე პეტერბურგში მიდის. აქ დიდს მნიშვნელობას აძლევენ ვიტტეს გამოვლას. ამბობენ, რომ რუვიესთან ვიტტეს ლაპარაკი ექნება საფრანგეთის ჩარევის შესახებ შორეულ აღმოსავლეთის საქმეებში.

ᲙᲔᲚᲜᲘ. „კელნ. ცაიტ.“-ის ხარბინელ კორესპონდენტის სიტყვით რკინის გზის დასავლეთით სიმშვიდეა. ამბობენ, იაპონელებს ჯარებ სოფ. სინმინტინისკენ მიჰყავთ, მდ. ხუნხეს ზემო ნაწილისკენო. სიცხე 40 გრადუსამდე ადის.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაზეთების ცნობით ჩინეთის მთავრობამ ნდობა გამოუცხადა იაპონიას მანჯურიის შესახებ დადებულ აღთქმის განხორციელების საქმეში. ამბობენ, რომ რუსის რწმუნებულნი მზად არიან უარი განაცხადონ მანჯურიაში გავლენის ქონაზე, ვინაიდან ჩინეთი არავითარ განსაკუთრებულ უპირატესობას არ აძლევს იაპონიასო.

ᲡᲘᲢᲘᲐᲖᲐ. ომისა და ზავის საკითხი აქ ყველას აინტერესებს. მარცხენა ფრთაზე ხუნხუზებმა წამოჰყვეს თავი, თავს ესხმიან ქარავნებსა და ტრანსპორტებს. იაპონელები სდევენ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ივლისი. ვიტტე ხვალ ინახულებს რუვიეს.

ᲢᲝᲙᲘᲝ, 8 ივლისი. დარლინის ახლოს რუსებმა კარგს პოზიციაზე საშინელი წინააღმდეგობა გაუწიეს უფრო ძლიერს იაპონელებს და გაისროლეს ათასი ყუმბარა, რისგანაც იაპონელებს ცოტა ზარალი მოუვიდათ. მოკლულია პოლკოვნიკი, რომელიც პოზიციებს უფროსობდა მათის ჩაბარების დროს. დაჭრილია 40 კაცი.

ᲒᲝᲫᲘᲐᲓᲘᲜᲘ. ლინევიჩს ყოველ დღე მოსდის დეპეშები რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან და ყველა წოდებისაგან, საცა სთხოვენ მას განაგრძოს ომი.

ᲙᲔᲚᲜᲘ. „კელნიშე-ცაიტუნგ“-ის ცნობით სულთანს არაფერი ვნებია სტამბოლში ბომბის გასროლით.

ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ. ოსები უკიდურეს ზომებს ხმარობენ, რათა ქურდობა აღმოფხვრან. სოფლებში შეჰფიცეს გასცენ ქურდები. ღამით შუაგულ ქალაქში მოჰკლეს ყოფილი პოდპოლ. შლენგოვსკი, რომლის გასაძარცვავად მისულიყვნენ.

ᲙᲘᲔᲕᲘ. სათადარიგო ჯარის კაცთა სურვილისამებრ პარაკლისი გადაიხადეს ხელმწიფის სადღეგრძელოთ და რუსის იარაღის გამარჯვებისთვის.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. პარიზიდან იუწყებიან, რუსეთმა განაცხადა, რომ იგი უერთდება მაროკოს კონფერენციას.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. ბომბამ 40 ოსმალი მოჰკლა. უცხოელი არ დაშავებულა. სულთანი დამშვიდებულად დაბრუნდა სასახლეში და მიიღო ავსტრიის ელჩი. ბომბის გამსროლელი მოკლული უნდა იყოს.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. როგორც ამბობენ, ბალფურმა აცნობა მეფეს, რომ იგი და მისი ამხანაგები უარ ჰყოფენ სამსახურიდან გასვლის საჭიროებას. ბევრი კაცი დაიჭირეს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 ივლისი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება გამოწვეულ იქნას პეტერბურგს უწ. სინოდში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ეგზარხოსი ალექსი.—4 ივლისს გამოქვეყნებულ იქნა უმაღლესი რესკრიპტი საქართველოს ეგზარხოს ნიკოლოზის სახელზე და ებოძა მას ბრილიანტის ჯვარი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ ბალფური მეფემ მიიღო აუდიენციაზე სხდომის შემდეგ. ეს ამბავი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მთავრობა პარლამენტს დაითხოვს.

რედაქტორ-გამომცემელი **ᲐᲚ. Გ. ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠᲘ**

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა. (30—11)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ
ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ
აცხადებს, რომ 15 ივლისისთვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის ადგილის სამ ნაჭრის გასაცემად მე-10 საპოლიციო უბანში, ტფილისის დამოჯნის მახლობლად. პირველი ნაჭერი ზომით არის—189,17, მეორე—245,5 და მესამე—151,25 ოთხკუთხი საჟენი. ადგილები იძლევა შეშის, საშენებელ მასალის და საქონლის საკვების საწყობად. პირობების გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, გამგეობის მეორე განყოფილებაში, 10-დან 1½ საათამდე. (3—6.—3)

ᲑᲔᲑᲘᲐ ᲥᲐᲚᲘ
ᲡᲝᲤᲘᲝ ᲘᲚᲘᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲚᲝᲙᲨ-ᲒᲔᲚᲑᲝᲠᲓᲢᲘ გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—16)

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ მეწვრილმანის დუქანი თავისი საყასბოთი. ვაგზლის ქუჩა № 14.
(2—1) Ნ. ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲕᲘ.

✦ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲡ ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—8)

ᲑᲣᲮᲞᲐᲚᲢᲔᲠᲘ-ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
(წელიწადი მესამე)
ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებსა.
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).
სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანეთი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.
ადრესი: ტფილისი, **ᲐᲚ. Გ. ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲡ**, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.
მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.
ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.
პროგრამა კურსებისა იბეჭდება და მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ მიიღონ.
(14—1) ᲐᲚ. Გ. ᲡᲐᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Книжный магазинъ
„ТУТТЕНБЕРГЪ,“
ТИФЛИСЪ,
(на Штабной и Дворцовой улицахъ).
ЭШЛИ. Экономическая исторія Англіи въ связи экономической теоріей 2 р. 75 к.
ЧИЧЕРИНЪ. Политическіе мыслители древняго и новаго міра въ 3-хъ том. 3 р. 50 коп.
РУБАКИНЪ. Среди мусульманъ 65 к.
КАТАЕВЪ. Къ вопросу о теоріи соціальнаго развитія, 70 к.
БЕРНШТЕЙНЪ. Общественное движеніе въ Англіи XVII вѣка. 1 р. 50 к.
ВИКТОРОВЪ. Ученіе о личности и настроеніяхъ. 1 р. 50 к.
МИЖУЕВЪ. Крестьянское царство. Очеркъ исторіи и современнаго состоянія Канады. 75 к.
ШМЕЛЕ. Соціаль-демократическіе профессіональные союзы въ Германіи. 1 р. 75 к.
ПРУГАВИНЪ. Монастырскія тюрьмы въ борьбѣ съ сектантствомъ. 60 к.
НОВИКОВЪ. Записки городского головы. 1 р. 50 к.
ВАНДЕРВЕЛЬДЪ. Промышленное развитіе и общественный строй. 50 к.
КОНСТИТУЦІОННОЕ государство. 75 к.
ГУМПНОВИЧЪ. Соціологія и политика. 50 к.
БЛОНДЕЛЬ. Торгово-промышленный подъемъ Германіи. 1 р. 50 к.
ГРАДОВСКІЙ. О свободѣ русской печати. 1 р. 50 к.
ГОЛОВИНА. Внѣ партій. Опытъ политической психологіи. 2 р.
8-ми часовой рабочій день. 1 р. 25 к.
БАЗАРОВЪ. Трудъ производительный и трудъ, образующій цѣнность. 40 к.
БЕЛЬТОВЪ. За двадцать лѣтъ. 3 р.
(1—1).

ᲤᲠᲘᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ
ახალი რომანი
„ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ“
ავტორის სურათით, წინასიტყვაობით: მოკლე, ბიოგრაფიულ და საპასუხო კრიტიკულ წერილით ბ. ფ. გოგიჩაიშვილის მიმართ. წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთათ, მაგრად შეკერილი, შეიცავს 120 გვერდს და გაგზავნით ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქვე იყიდება „ლექსები და პოემები“ და მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან: „ვარინკას ამბავი“. თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე მეტს და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზი. აგრეთვე 1902, 1903 და 1904 სრული წლების „ცნ. ფურცელი“ ყდაში მიცემულის დამატებით და შინაარსის აღწერით. თითო წლის მხოლოდ 1 მანეთი. შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიჰმართონ სადგურ მიხაილოვში ბათუმის მხრივ ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст. Михайлово, кас. Чархишвили. (2—1)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ
ᲒᲝᲠᲝ-ᲜᲐᲕᲗᲐᲚᲘᲜᲘ
სრულიად სპობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს იმის ამოსვლას. ამასთან თმას ბუნებრივი ფერი ეძლევა.
ნება დართულია სამკურნალო განყოფილების მიერ და ცნობილია ისეთ ნივთიერებად, რომელიც ჯანმრთელობას არა ვნებს. საწყობი სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობისა, ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში რუსეთის აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (4—254—4)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ
ᲙᲣᲑᲝᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡᲐ



ყველა ნაირი მოწყობილება, რაც კი ეკირვება კუბოებს. ვიღებ შემოკვეთას, რასაც ვასრულებთ სუფთათ და იაფათ. ვანქის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გვერდით. (0—9)

რკინის გზის დიანდაგზე, სადგურ „სერნიე ვოდი“-ს მახლობლად ᲝᲙᲠᲘᲑᲐᲨᲘ გავხსენით
„ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲬᲘᲠᲘᲡ ᲒᲝᲒᲘᲠᲓᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝᲔᲑᲘ“,
რომლის მარგებლობა სხვა და სხვა ავადმყოფობისათვის, განსაკუთრებით ქარებისა, თავის ტკივილისა და მისთანებისა, ექიმებისაგან რამდენჯერმე არის შემოწმებული. როგორც აბანოები, ისე სადგომი სახლები, ნომრები ხელახლა არის შეკეთებული სუფთათ და ლამაზათ. ფასი ნომრებისა 30 კ.—60 კ., 1 მან. და 1—20 კ. აბანოების აუზი კი ღირს 40—50 კაპ. და შიგ ჩასვლა ოთხ კაცსაც შეუძლია ამავე ფასში. ეზო და აუზები განათებულია. არის სავაჭრო დუქანი, სადაც ყოველნაირი სასმელ-საჭმელი იშოვება ზომიერ ფასებში. მომსვლელებისათვის არის ცალკე სამზარეულო უფასო შეშით.
(5—4) აბანოს პატრონი **ლევანტი ქარქაშაძე**

„ᲪᲝᲓᲜᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწვდომ წიგნებისა. **ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.
იყიდება **ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲮᲐᲠᲗᲐᲕᲐᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ** 30 კ. 50 კ.
ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(წდ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მაღალები და სანდალიები. უეჭველა ამის შეძენა
შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ.
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს
ᲜᲐᲠᲓᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲐ
ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ
„ᲚᲔᲝᲞᲝᲚᲓ ᲜᲔᲘᲨᲔᲚᲚᲔᲠ“-ის
საქონლის წარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრავლად
ᲢᲧᲐᲕᲔᲣᲚᲝᲑᲐ
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. (60—Ნ.—58)

Доз. ценз. Тифлисъ 9 Іюля 1905 г.